საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 149 (428) პარასკევი, 7 აგვისტო, 1992 წელი ფასი 1 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და კანონიერების განმტკიცების რესპუბლიკური შტაბის მორიგი გაერთიანებული სხდომა. მოისმინეს ინფორმაცია ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ, რომელიც გააკეთა სახელმწიფო საბჭოს საგანგებო რწმუნებულმა შიდა ქართლში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ რობინზონ თუშურაშვილმა. აღინიშნა, რომ კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში დადებით ძვრებთან ერთად რეგიონში ჯერ კიდევ არის ბევრი პრობლემა, რომელთა გადაჭრა საკმაოდ ძალისხმევას მოითხოვს. დაისახა ყოფილი კონფლიქტის ზონაში ვითარების სტაბილიზაციის პროცესების დაჩქარების მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი.

სხდომაზე განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მანიფესტის განხორციელების ღონისძიებათა საკითხი. გამოითქვა წინადადებანი ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის თითოეული დებულების რეალურად განხორციელებისათვის. იმსჯელეს აგრეთვე უცხოეთის ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვისა და რეალიზაციის სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს შექმნის, სახელმწიფო საბჭოს რწმუნებულთა უფლებამოსილებების განსაზღვრის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის პირობითი დანაწილების და რწმუნებულის აპარატის სტრუქტურის საკითხზე.

ბოროტმოქმედება არ დაიმალება

სათანადო ორგანოებმა დაადგინეს ქუთაისის ბრიგადის გვარდიელები — ქალაქ თბილისში, თემქის დასახლების მეცხრე მიკრორაიონის მეორე კვარტალის 28-ე კორპუსის მცხოვრებნი, 1963 წელს დაბადებული გოჩა ლავრენტის ძე გოგიშვილი და ემზარ იურის ძე როგაჩოვი, წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის მცხოვრები, 1968 წელს დაბადებული ზვიად ჯამბულის ძე ყორღოლიანი, ქალაქ ქუთაისის გორკის ქუჩა 61-ის მცხოვრები, 1966 წელს დაბადებული დავით ეკტიხის ძე ბუმბურიძე, რომლებმაც აღიარეს, რომ მიმდინარე წლის 27 მაისს სოფელ წყალთაშუაში მდებარე რესტორანში მოქალაქე დ. ფურცხვანიძის მკვლელობა ჩაიდინა ქალაქ ქუთაისის ბრიგადის გვარდიელმა, ბროსეს ქ. 8-ის მცხოვრებმა, 1961 წელს დაბადებულმა მამუკა ლევანის ძე ასათიანმა. იგი ამჟამად იმალება.

ხორბალი — რესპუბლიკის ბეღლებში

დედოფლისწყაროს რაიონის მშრომელები შეუდგნენ რესპუბლიკის სახელმწიფო ბეღლებში მარცვლეულის დაბინავებას. თუმცა მთლიანად საქართველოს ბეღელში საშემოდგომო პურეულის მოსავლის აღებისა და გალეწვის ტემპი საშუალებას იძლეოდა კალოებიდან ელევატორებში მისი მიწოდება რამდენადმე ადრე დაწყებულიყო, ამას ხელი შეუშალა ადგილობრივ ბანკში წარმოქმნილმა სიძნელეებმა ნაღდ ფულთან დაკავშირებით.

რესპუბლიკის ბეღლებს წელს პურს მიაწოდებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოცდაათამდე რაიონი.

ამ დღეებში

გამომცემლობაში
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და საინფორმაციო
კორპორაციებში

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

საქართველოს რესპუბლიკა ადგას დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გზას და თავის ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან აგებს ნდობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების საფუძველზე

დრო-ჟამით ნაცადი მეგობრობა

უკრაინის პრემიერ-მინისტრი საქართველოში

ახალი ისტორიული ფაზა უდგება საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობას, რომლებსაც მეგობრობისა და თანამშრომლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აკავშირებთ. ახლახან ისინი განმტკიცდა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით. საქართველო-უკრაინის კავშირურთიერთობა ახალი შინაარსით შეივსება უკრაინის პრემიერ-მინისტრის ვიტოლდ ფოკინის საქართველოში ოფიციალური ვიზიტის შემდეგ. დამოუკიდებელი უკრაინის მთავრობის მეთაური პირველად ჩამოვიდა სუვერენულ საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად, რომელიც უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ორივე ქვეყნის ხალხთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

6 აგვისტოს ბატონი ვიტოლდ ფოკინი თბილისში ჩამობრძანდა.

დედაქალაქის აეროპორტი საზეიმოდ არის მორთული. ფლაგშტოკზე ფრიალებს საქართველოს და უკრაინის სახელმწიფო დროშები.

თვითმფრინავის კიბესთან საპატიო სტუმარს გულთბილად მიესალმნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, პრემიერის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, მინისტრები, ქალაქ თბილისის მერი ოთარ ლითანიშვილი და სხვა ოფიციალური პირნი, რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკები.

საპატიო ყარაულის უფროსმა პატაკი ჩააბარა უკრაინის პრემიერ-მინისტრს. საპატიო სტუმარს მიესალმნენ და საზეიმო მარშით ჩაუარეს საქართველოს ეროვნული არმიის ყველა სახეობის ჯარების წარმომადგენლებმა, მიაგეს მას მხედრული პატივი. აჟღერდა უკრაინისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები.

ბატონმა ვიტოლდ ფოკინმა შეკრებილთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა.

— ძვირფასო ქართველო მეგობრებო! — თქვა მან, — მღელვარებისა და აღფრთოვანების გრძნობით დავდგი ფეხი ლეგენდარული საქართველოს — ამაყი, დამოუკიდებელი, მამაცი, შრომისმოყვარე ხალხის მიწა-წყალზე. მოხარული ვარ, შევასრულო საპატიო მისია, გადმოგცეთ გულითადი სალამი და ყოველივე საუკეთესო გისურვოთ დამოუკიდებელი უკრაინის ხალხის სახელით. ჩვენი დელეგაციის დღევანდელი ვიზიტი შეიძლება მივაკუთვნოთ სერიოზულ ისტორიულ მოვლენებს — ეს ხომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირველი დელეგაციაა ქვეყანაში, რომელსაც ახლა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას ვუწოდებთ.

— ჩვენ აქ სამუშაოდ ჩამოვედით. ჩვენი ამოცანა, — თქვა შემდეგ უკრაინის პრემიერ-მინისტრმა, — ის არის, რომ მოვაგვაროთ ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დარღვეული კავშირურთიერთობა, სტაბილური ეკონომიკური თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის. გვახარებს შესაძლებლობა მოგახსენოთ, რომ გვინდა თქვენთან მეგობრობა და თანამშრომლობა, გვინდა ვიყოთ თქვენი პატიოსანი და სიტყვის გაუტეხავი პარტნიორები. მოხარული ვართ, რომ ისტორიის ამ რთულ პერიოდში ჩვენს ხალხებს საშუალება მიეცათ თანამშრომლონ, აშენონ თავიანთი სახელმწიფოებრიობა, აღორძინონ თავიანთი სულიერება და ეროვნული კულტურა. ჩვენს ხალხებს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო კულტურაში, ერთნაირია ჩვენი სულიერი კულტურა — ქრისტიანობა. ჩვენი საწარმოები განუყრელად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან ეკონომიკური ურთიერთობით.

დღეს უკრაინისა და საქართველოს ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის შეთანხმებაზე რომ ვმუშაობთ, — თქვა დასასრულ ბატონმა ვიტოლდ ფოკინმა, — ამით დუღაბს ვასხამთ ჩვენს საერთო საძირკველში, საფუძველს ვუყრით ჩვენს მეგობრობას.

— მოხარული ვარ დღეს საქართველოს მიწა-წყალზე მივესალმო უკრაინის რესპუბლიკის ესოდენ საპატიო დელეგაციას, — თქვა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ, როცა სტუმრებს მიმართა. — მოხარული ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა დავიწყო ახალი ნიშანსვეტი ჩვენი ხალხების ურთიერთობაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილი რესპუბლიკები მძიმე ბრძოლით მოიპოვებენ თავიანთ სრულ დამოუკიდებლობას. დღეს ძალიან ძნელი დრო გვიდგას — პოლიტიკური შფოთიანობა, ეკონომიკური დაქვეითება. მაგრამ გვჯერა, რომ ჩვენი მეგობრობა და ურთიერთობა ახალ ნაყოფს გამოიღებს. უკრაინისა და საქართველოს ტრადიციულ კავშირურთიერთობას, რომელიც დღეს თუ გუშინ არ დაწყებულა, თქვენი ჩამოსვლა ახალ იმპულსს მიანიჭებს. ჩვენ მეზობლები არა ვართ, მაგრამ გვაერთიანებს შავი ზღვა და ახლად შექმნილი შავ ზღვის სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობა. ეს იმის საწინდარია, რომ ახლებურად აისახება ჩვენი მჭიდრო მეგობრული კავშირურთიერთობა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ საქართველოში ახლახან შეიქმნა საქართველო-უკრაინის საზოგადოება. დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინისა და საქართველოს ეკონომიკური შეთანხმების ხელმოწერით ახალ გზებს გამოვუნახავთ ჩვენს მეგობრობას.

შემდეგ მანქანების კორტეჟი სტუმრისთვის გამოყოფილი რეზიდენციისკენ მიემართება.

ნაშუადღევს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ჯაბა იოსელიანის საუბარი ბატონ ვიტოლდ ფოკინთან, რომლის დროს განიხილეს ორივე მხარისთვის საინტერესო საკითხები.

საუბრის დამთავრებისთანავე გაიმართა საქართველოსა და უკრაინის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმების ხელმოწერის ცერემონია.

ედუარდ შევარდნაძემ, თენგიზ სიგუამ და ვიტოლდ ფოკინმა უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებს.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მეთაურმა სადილი გაუმართა უკრაინის პრემიერ-მინისტრსა და მის თანმხლებ პირებს. სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. საქართველოსა და უკრაინის მთავრობათა მეთაურებმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

საღამოს უკრაინის პრემიერ-მინისტრი და მისი თანმხლები პირნი ბათუმს გაფრინდნენ, სადაც გაეცნობიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცხოვრებას.

თბილისის აეროდრომზე ბატონი ვიტოლდ ფოკინი გააცილეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

სურათებზე: საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა უკრაინის პრემიერ-მინისტრთან ვიტოლდ ფოკინთან; საპატიო სტუმარს აეროპორტში შეხვდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა; საქართველო-უკრაინის სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულების ხელმოწერის დროს.

ვანო შამანაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

უკრაინის პრემიერ-მინისტრი აჭარაში ჩავიდა

ბათუმი, 6 აგვისტო. (საქინფორმის კორ.), დღეს თბილისიდან აქ ჩამოვიდა უკრაინის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ვიტოლდ ფოკინი.

ბათუმის აეროპორტში საპატიო სტუმარსა და მის თანმხლებ პირთ დახვდნენ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

ერთობლივი კომუნიკე

საქართველოს რესპუბლიკაში უკრაინის პრემიერ-მინისტრის ვიტოლდ ფოკინის ოფიციალური ვიზიტის შესახებ

1992 წლის 6 აგვისტოს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით, თბილისში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა უკრაინის პრემიერ-მინისტრი ვ. პ. ფოკინი.

ვ. პ. ფოკინის ვიზიტის დროს გაიმართა მისი შეხვედრები და მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესთან ბ-ნ ე. ა. შევარდნაძესთან, პრემიერ-მინისტრთან ბ-ნ თ. ნ. სიგუასთან და სხვა ოფიციალურ პირებთან.

მოლაპარაკების დროს მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი იმ ფართო წრის საკითხთა ირგვლივ, რომლებიც შეეხება უკრაინასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებასა და გაფართოებას.

მხარეებმა აგრეთვე დიდი ყურადღება დაუთმეს საერთაშორისო ცხოვრების საკითხთა განხილვას, ყოფილი საბჭოთა კავშირის სუბიექტების ინტეგრაციას მსოფლიო თანამეგობრობაში.

მხარეებმა აღნიშნეს ორი ქვეყნის მისწრაფება ტრადიციული ორმხრივი მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებისა და გაღრმავებისადმი. მხარეებმა იმსჯელეს საქართველო-უკრაინის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის იმ კონკრეტულ მიმართულებებზე, რომლებიც შეესაბამება მათ ეროვნულ ინტერესებს, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში საყოველთაო ღირებულებათა და საერთაშორისო სამართლის ისეთი პრინციპების დამკვიდრებას, როგორიცაა სახელმწიფოთა ურთიერთობაში თანასწორობის, მათი ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპები, აგრეთვე კეთილმეზობლობის, ურთიერთნდობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და საკამათო საკითხების მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით გადაჭრის პრინციპები. მხარეებმა თავიანთი აზრი გამოთქვეს მოლდოვეთის, მთიანი ყარაბაღისა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით მოგვარებისა და აგრეთვე შავი ზღვის ფლოტის, ყოფილი სსრკ ვალებისა და აქტივების სამართლიანი განაწილების მიმართ.

ორივე მხარემ ხაზი გაუსვა საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის მუდმივი კონსტრუქციული დიალოგის მნიშვნელობას დინამიკური ურთიერთობების შემდგომი განვითარებისათვის, აგრეთვე მათი თანამშრომლობის აუცილებლობას შავი ზღვის რეგიონსა და მთელ მსოფლიოში სტაბილურობის განმტკიცებისა და საერთო უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფის მიზნით.

საუბრის დროს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საქართველოს რესპუბლიკა ადგას დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გზას და თავის ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან აგებს ნდობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების საფუძველზე.

ბ-ნმა ე. ა. შევარდნაძემ აგრეთვე აღნიშნა საქართველოსა და უკრაინას შორის თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებში, რომელიც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის დეკლარაციის დებულებიდან გამომდინარეობს.

უკრაინის მხარე მიესალმა საქართველოს რესპუბლიკის გაწევრიანებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, როგორც მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს სრული აღიარების გამოვლინებას.

მხარეებმა აღნიშნეს ორი ქვეყნის ხელმძღვანელობის პირადი შეხვედრებისა და მოლაპარაკებების კეთილისმყოფელი გავლენა სახელმწიფოთაშორისი ორმხრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე.

მხარეებმა ერთმანეთს მიაწოდეს ინფორმაცია ორ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებზე, დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობაში შემავალ სახელმწიფოებთან ურთიერთობებზე, ფართომასშტაბიან ეკონომიკურ რეფორმებსა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პროცესებზე და ამასთან დაკავშირებით მოსახლეობის სოციალური დაცვისაკენ მიმართულ ღონისძიებებზე.

მხარეებმა გამოთქვეს თავიანთი ერთგულება დემოკრატიის განვითარების, ადამიანთა უფლებების დაცვის და ყველა იმ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების მიმართ, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დოკუმენტებიდან გამომდინარეობს, ხაზი გაუსვეს თავიანთ მისწრაფებას — ააშენონ სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფო ღია საზოგადოებით.

ვ. პ. ფოკინმა საქართველოს მხარეს ყურადღება გაამახვილებინა იმაზე, რომ უკრაინა თანამიმდევრულად ახორციელებს ღონისძიებებს, რათა მომავალში გახდეს ნეიტრალური სახელმწიფო, რომელსაც არ ექნება ბირთვული შეიარაღება და ამ მხრივ იგი მკაცრად დაიცავს შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებს, კერძოდ, სტრატეგიული თავდასხმითი შეიარაღების შემცირების თაობაზე და ლისაბონის ოქმს მის ტერიტორიაზე განლაგებული სტრატეგიული შეიარაღების შესახებ.

მხარეებმა აღნიშნეს თავდაცვის მრეწველობის კონვერსიის პროგრამის წარმატებით განხორციელების მნიშვნელობა ორივე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის საქმეში.

მიიღეს რა მხედველობაში ის სწრაფი და ღრმა ცვლილებები, რომლებიც ევროპასა და მთელ მსოფლიოში ხდება, აგრეთვე ევროპის კონტინენტის ხალხთა მტკიცე გადაწყვეტილება საფუ-

(დასასრული მე-2 გვ.).

ნომერში

⊙ სოფელს დღეს განსაკუთრებით სჭირდება მხარდაჭერა. 2
⊙ „ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი..." 3
⊙ კიდევ ერთი ოქროს მედალი და ოლიმპიადის სხვა სიახლენი. 4

ბუტროს გალი:

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობაში ღრმა და მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს წვლილი

გაერთიანებული
ერების ორგანიზაციის
გენერალური მდივნის
გამოსვლა
საქართველოს
ეროვნული დროშის
აღმართვის საზეიმო
ცერემონიალზე

1992 წლის 31 ივლისი,
პარასკევი.

თქვენო აღმატებულებავ, ქალბატონებო და ბატონებო!

დღევანდელი დღე გაერთიანებული ერებისთვის მეტად მნიშვნელოვანია. მივესალმებით ერთა ოჯახის ახალ წევრს — საქართველოს რესპუბლიკას.

ჩვენს ორგანიზაციაში ყოველ ახალ წევრს თან მოაქვს რაღაც განსაკუთრებული — ნოვატორული იდეები და კულტურული ღირებულებანი, რომლებიც ჩვენს საერთო კულტურულ ღირებულებებს ამდიდრებს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობაში ღრმა და მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს წვლილი, ისეთი, როგორიც ამ ქვეყნის რთულ და შლეგვარე ისტორიას, მის მდიდარ და მრავალფეროვან კულტურას შეეფერება.

ჩვენ მივესალმებით საქართველოს რესპუბლიკის ახალ ვალდებულებას, გაიზიაროს გაეროს წესდება და მისი პრინციპები კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის, ადამიანთა უფლებების დაცვისა და მსოფლიოს ხალხთა კეთილდღეობის თვის ზრუნვის შესახებ. მსურს დავარწმუნო ქართველი ერი და საქართველოს მთავრობა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თქვენი სრული თანამდგომია ყველა იმ პრობლემის გადაწყვეტაში, რომელთა დაძლევა, მჯერა შეგიძლიათ.

მინდა ქართველ ხალხს, საქართველოს მთავრობას ვუსურვო მშვიდობა, აყვავება, ბედნიერება და წარმატება ჰარმონიული, დემოკრატიული საზოგადოების შენების რთულ გზაზე.

თქვენო აღმატებულებავ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმატებით გაწევრიანებასთან დაკავშირებით, გთხოვთ, გადასცეთ ჩემი მხურვალე და გულითადი მილოცვა საქართველოს მთავრობასა და თქვენი სახელმწიფოს მეთაურს, რომლის ერთგულება გაეროს წესდებაში ჩამოყალიბებული მიზნებისა და ამოცანებისადმი საყოველთაოდ ცნობილია.

აღიმართოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული დროშა!

გმადლობთ ამ ისტორიულ ცერემონიალში მონაწილეობისთვის.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ გამოქვეყნებისთანავე.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს უმოკლეს ვადაში მოამზადოს გამოსაცემად და უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსების გამოცემა, ამ ცვლილებათა და დამატებათა გათვალისწინებით.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი
მ. ზოზუაძე.

თბილისი, 1992 წლის 5 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტს „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ" უახლოეს მომავალში ბროშურად დასტამბავს გამომცემლობა „სამშობლო".

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

დადგენილება

დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის განაკვეთის შემცირების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივ სხდომაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 7 მარტის 286 დადგენილებით დამტკიცებული დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის განაკვეთი (საექსპორტო პროდუქციის ჩათვლით) ნაცვლად 28 პროცენტისა განისაზღვროს 14 პროცენტის ოდენობით.

2. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებული შემოსავლის დანაკარგებით გაიზარდოს საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა ამ დადგენილების პირველი პუნქტით შემცირებული შემოსავლის საკომპენსაციოდ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას გამოუყოს უპროცენტო სესხი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების დასაფინანსებლად.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ედუარდ შევარდნაძე,

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი
მ. ზოზუაძე.

თბილისი, 1992 წლის 5 აგვისტო.

ერთობლივი კომუნიკე

(დასასრული)

ძველი ჩაუყარონ უშიშროებისა და მშვიდობის ახალ ერას იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია ჰელსინკის საბოლოო აქტისა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის ძირითად დოკუმენტებში, კერძოდ, პარიზის ქარტიაში ახალი ევროპისათვის. მხარეებმა ერთსულოვნად გამოთქვეს შავიზღვისპირეთის ქვეყნებს შორის მრავალმხრივი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის მხარდაჭერის აუცილებლობა, შავი ზღვის მშვიდობის, სტაბილურობისა და აყვავების ზონად გადაქცევის შესაძლებლობა.

მოლაპარაკების შედეგად, რომელიც ურთიერთგაგებისა და კონსტრუქციული დიალოგის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკისა და უკრაინის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ განსაზღვრავენ პროდუქციისა და საქონლის მიწოდების მოცულობას 1993 წლისათვის მომდევნო წლებში მისი გაგრძელების გათვალისწინებით.

მხარეებმა გამოთქვეს მტკიცე გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქართველოს რესპუბლიკისა და უკრაინის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების პროექტის მომზადებას, აგრეთვე რიგი სახელმწიფო დოკუმენტების მომზადებას, რომლებიც ორივე მხარისათვის საინტერესოა და ყველა სფეროში მრავალმხრივ და ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას ეხება.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია მომავალშიც განვითარდეს ტრადიციული ქართულ-უკრაინული თანამშრომლობა, უკრაინის მხარემ მადლობა გადაიხადა იმ სტუმართმოყვარეობისა და ყურადღებისათვის, რომელიც დელეგაციის წევრების მიმართ იქნა გამოჩენილი საქართველოში მათი ვიზიტის დროს.

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ვ. პ. ფოკინმა მიიპატიჟა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ე. შევარდნაძე და საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი თ. სიგუა ოფიციალური ვიზიტად იწვიონ უკრაინას. წინადადება მადლიერებით იქნა მიღებული.

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა მხარი დაუჭირა ეროვნული თანხმობის, სამოქალაქო მშვიდობისა და შერიგების მიღწევის პროგრამას, რომლის პრინციპები ჩამოყალიბებულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 4 აგვისტოს მანიფესტში, მან აღნიშნა, რომ მანიფესტის დებულებათა განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოში ვითარების პოლიტიკური სტაბილიზაციის პროცესის წარმატებით დასრულებას.

შეთანხმება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და უკრაინის მთავრობა, შემდგომში „მხარეებად" წოდებულნი:

ითვალისწინებენ თითოეულ სახელმწიფოში ეკონომიკური რეფორმების ეტაპების თავისებურებებს;

ესწრაფვიან მსოფლიო სამეურნეო ურთიერთობებში მხარეების ეკონომიკის ინტეგრირებას;

მხედველობაში იღებენ ეკონომიკის ლიბერალიზაციის მიმდინარე პროცესს;

ხელმძღვანელობენ თანასწორუფლებიანობის, ურთიერთხელსაყრელობისა და ურთიერთდაინტერესებულობის პრინციპით;

შეგნებული აქვთ დამყარებული ტრადიციული სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავების განსაკუთრებული მნიშვნელობა;

ეყრდნობიან საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და გაფართოების უზრუნველსაყოფად გრძელვადიან, სტაბილურ და შეწონასწორებულ საფუძველზე და რეალური შესაძლებლობების ფარგლებში განამტკიცებენ ეკონომიკურ თანამშრომლობას თითოეული მხარის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2

ეკონომიკური თანამშრომლობის ურთიერთხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით მხარეები ერთმანეთს მიანიჭებენ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს.

მუხლი 3

მხარეებმა დათქვეს, შეთანხმებული ნუსხის შესაბამისად მთავრობათა დონეზე განახორციელონ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციისა და საქონლის მიწოდების რეგულირება.

მხარეთა რწმუნებული სახელმწიფო ორგანოები ყოველი წლის 1 ოქტომბრამდე ათანხმებენ და ხელს აწერენ ყოველი მომდევნო წლისათვის „პროდუქციისა და საქონლის ურთიერთმიწოდების მოცულობებს", რაც აღნიშნული შეთანხმების განუყოფელი ნაწილი იქნება.

მხარეების შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს ან შეივსოს პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ნომენკლატურა და მოცულობები.

მუხლი 4

მხარეები სამეურნეო სუბიექტებს ხელსაყრელ პირობებს უქმნიან პროდუქციისა და საქონლის ურთიერთმიწოდების შენარჩუნებისა და განვითარების, საქონლის წარმოებაში კოოპერაციისა და სპეციალიზაციის, ერთობლივი საწარმოებისა და მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული თანამშრომლობის სხვა ფორმებისათვის.

მუხლი 5

მხარეები შეთანხმდნენ, დაავალონ საქართველოს რესპუბლიკისა და უკრაინის შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს და სხვა სამეურნეო სუბიექტებს 1992 წლის 1 დეკემბრამდე დაასრულონ დათქმული მოცულობების შემცველი პროდუქციის მიწოდების შეთანხმებების ხელის მოწერა. სამეურნეო სუბიექტებს შეუძლიათ დადონ კონტრაქტები პროდუქციისა და საქონლის მიწოდებაზე, რომლებსაც არ შეიცავს შეთანხმებული მოცულობები. მხარეები ხელს შეუწყობენ შეთანხმებებისა და ოქმების ხელის მოწერას, ურთიერთსაინტერესო სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა მიმართულებებშიც.

მუხლი 6

საქონლის მიწოდებებისა და მომსახურებისათვის ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეების შესაბამის რწმუნებულ ბანკებს შორის ერთი თვის განმავლობაში დადებული საგადამხდელო შეთანხმების თანახმად. დაიშვება მიწოდებული პროდუქციის ღირებულების კორექტირება ფასების მიმდინარე კურსის მიხედვით.

მუხლი 7

მხარეები შეთანხმდნენ, რომ რომელიმე მხარის მიერ ეროვნული ვალუტის შემოღების შემთხვევაში ანგარიშსწორებისა და გადახდის წესი დარეგულირდება დამატებითი შეთანხმებით, რომელიც მხარეების რწმუნებულ ბანკებს შორის დაიდება არა უგვიანეს 30 დღისა ამგვარი ვალუტის შემოღების შესახებ განცხადების შემდეგ.

მუხლი 8

მხარეები შეთანხმდნენ ერთი თვის ვადაში დადონ ხელშეკრულება ორივე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტვირთის ტრანსპორტირებისა და ტრანზიტის წესით გადაზიდვის შესახებ და 1992 წლის ბოლომდე — ხელშეკრულება საბაჟო თანამშრომლობაზე.

მუხლი 9

მხარეები წაახალისებენ ორივე სახელმწიფოს რეგიონების, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე, სავაჭრო-სამრეწველო პალატების თანამშრომლობას, კონტაქტებს მეწარმეებს შორის, ინფორმაციის გაცვლას, აგრეთვე სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა ფორმების განვითარებას.

მუხლი 10

მოცემული შეთანხმების დებულებებთან დაკავშირებით სადავო საკითხების წარმოშობის შემთხვევაში მხარეები საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით გადაწყვეტენ მათ მოლაპარაკების გზით.

მუხლი 11

მხარეთა ორმხრივი დასტურით აღნიშნულ შეთანხმებაში შეიძლება ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

მუხლი 12

აღნიშნული შეთანხმება იდება 5 წლით, ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედება არ წყდება, თუ ერთ-ერთი მხარე სულ ცოტა ექვსი თვით ადრე წერილობით არ განაცხადებს, რომ განზრახული აქვს შეწყვიტოს მისი მოქმედება.

შესრულებულია ქ. თბილისში 1992 წლის 6 აგვისტოს ორ ცალად, თითოეული ქართულ და უკრაინულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის სახელით
თენგიზ სიგუა

უკრაინის მთავრობის
სახელით
ვიტოლდ ფოკინი

ისტორიული დოკუმენტი

სენაკის რაიონის გამგეობის სხდომათა დარბაზში გაიმართა რაიონის საზოგადოებრიობის შეკრება, რომელზეც განიხილეს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს 4 აგვისტოს მანიფესტი. უნდა ითქვას, რომ ამ დოკუმენტმა სენაკელების დიდი კმაყოფილება გამოიწვია. ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი, რომელიც ამჟამად სენაკშია, შეხვდა რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს შალვა კეკელიას და სთხოვა თავისი აზრი გამოეთქვა ამ შეკრების გამო. აი, რა გვითხრა მან:

მანიფესტი, შეიძლება თამამად ითქვას, მრავალტანჯული საქართველოსთვის ბრძნული ისტორიული დოკუმენტია. ჩვენს სამშობლოს მხოლოდ ასეთი დამოკიდებულება და მიდგომა გადაარჩენს. აი, სწორედ ასე აღიქვეს სენაკელებმა მანიფესტის მნიშვნელობა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას (ეს ერთსულოვნად გამოიხატა შეკრებაზე), რომ მთავრობის ასეთმა ჰუმანურმა დამოკიდებულებამ არ უნდა გამოიწვიოს საწინააღმდეგო შედეგები. ყველა მოქალაქე სენაკელებივით კეთილი განწყობით უნდა მოეკიდოს მთავრობის აღნიშნულ გადაწყვეტილებას, რადგან იგი ყველას მხოლოდ სიკეთეს და ნანატრ მშვიდობიან ცხოვრებას მოგვიტანს.

— ბატონო შალვა, უკვე ერთი კვირაა, რაც სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით სენაკში და მთლიანად სამეგრელოს ზონაში იმყოფება საქართველოს პოლიცია. რის თქმა შეგიძლიათ?

— მხოლოდ კარგის. პოლიციის შემოყვანით, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მისიით არის ჩამოსული, მკვეთრად გაუმჯობესდა როგორც სენაკის რაიონის, ისე აღნიშნული ზონის კრიმინოგენული მდგომარეობა. ბოლო დღეებში თითქმის აღარ არის სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევები. უკვე ჩამორთმეულია და პატრონებს დაუბრუნდათ ოთხი გატაცებული ავტომანქანა. რაც მთავარია, მოსახლეობა კმაყოფილია მათი აქ ყოფნით. ხალხს უბრუნდება შერყეული რწმენა და, ვფიქრობთ, სულ მოკლე ხანში ყველაფერი გამოსწორდება.

ბესო ჭინჭარაული,
„სრ" სპეც. კორ.

ძმებს ასე არ ექცევიან!

საქველმოქმედო საზოგადოების „კომაჩის" საბჭომ სომხური კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების „კრუნკის" ხელმძღვანელობას, აფხაზეთის ყველა სომეხს მიმართა წერილით, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

ბოლომდე გულახდილი და პრინციპული თუ ვიქნებით, ყველაფრისათვის, რაც მოხდა და ხდება ეროვნებათაშორის ურთიერთობაში და ავტონომიური რესპუბლიკის ცხოვრების სხვა სფეროებში ნეგატიური თვალსაზრისით, „აიდგილარას" და უზენაესი საბჭოს ზოგიერთ ხელმძღვანელთან ერთად, უდიდესწილად პასუხისმგებლობა ეკისრება „კრუნკის" ხელმძღვანელობასაც.

ცენტრში და ადგილებზე სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში თავიანთი წარმომადგენლების შეუპოვარი და უაპელაციო დამკვიდრება მთავარი გახდა „კრუნკის" საქმიანობაში მისი საპროგრამო კულტურულ-საქველმოქმედო მიმართულების საწინააღმდეგოდ.

„აიდგილარას", „კრუნკის", ზოგიერთ სხვათა ალიანსის პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოძრაობის ექსტრემისტული ნაწილის უკიდურესად ანტიკონსტიტუციური, ანტიდემოკრატიული მოქმედება, რომლებიც სულ უფრო და უფრო ლახავენ მოსახლეობის მეტი ნაწილის ინტერესებს, სახელმწიფო და პოლიტიკური ხელმძღვანელობიდან და შემადგენლობიდან აძევებენ ქართული ეროვნების კადრებს, აფხაზეთში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების საღად მოაზროვნე წარმომადგენლების იმედგაცრუებას, უკმაყოფილებასა და წინააღმდეგობას იწვევს.

თქვენი მხრივ რესპუბლიკაში სეპარატისტული ძალების მხარდაჭერა, წაქეზება და წახალისება ქმნის საქართველოს გათიშვის შესაძლებლობის ილუზიას, სულ უფრო ძაბავს ისედაც რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. რად ღირს თუნდაც ერთ-ერთი თქვენი მოწოდება ეროვნული ხსნის კომიტეტის შექმნისა და უცხოეთის ძალების მხრივ სამხედრო დახმარების შესახებ.

ეს და სხვა მოქმედება ზოგიერთი პოლიტიკოსის მხარდასაჭერად, რომლებიც ილწვიან დესტაბილიზაციისა და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის, მრავალი ადამიანის, ქართველი ხალხის გაოცებასა და დიდ სინანულს იწვევს, რომელსაც სომეხ ხალხთან აკავშირებს დიდი ხნის ერთობლივი ბრძოლა და თანამოქმედება თავისი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, რომელიც საუკუნეებსა და ათასწლეულებს ითვლის.

საქართველოს მხრივ, ასეთი კეთილი მეგობრული ურთიერთობისა და მხარდაჭერის გარეშე სომეხ ხალხს მისი რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და წინააღმდეგობრივი, არასტაბილური ვითარების პირობებში გაცილებით უფრო გაუჭირდება და აუტანელი მდგომარეობა შეიქმნება ხვალ და მომავალში. თითქოს თვითონ ღმერთმა ინება, რომ ორი ჩვენი ქრისტიანი ხალხი ურთიერთმანეთთოდ ვერ გადარჩენილიყო როგორც რეგიონალური, ისე გლობალური მასშტაბით ერებისა და ეროვნებების დაპირისპირების გამუდმებით რთულ ატმოსფეროში. სხვათა შორის, ამაზე, როგორც ვხედავთ, ფიქრობენ და ზრუნავენ საქართველოს და სომხეთის ახლანდელი ხელმძღვანელებიც.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ნუთუ არ გაფიქრებთ მოქმედება, რომელიც სულ უფრო მეტად უგულებელყოფს და ართულებს თქვენს ურთიერთობას აფხაზეთის მოსახლეობის ქართველ ნაწილთან და, მაშასადამე, მთელ ქართველ ხალხთან? ნუთუ თქვენთვის სულ ერთია სომხებთან, მათ შორის საქართველოს ნაწილში და თქვენს ისტორიულ სამშობლოში — სომხეთში მცხოვრებ სომხებთან საქართველოს ნორმალური, სტაბილური ურთიერთობის ბედი?

ჩვენ არ მოგიწოდებთ გაართულოთ ურთიერთობა სხვა ხალხებთან, მათ შორის აფხაზ ხალხთანაც, რომელსაც, სამწუხაროდ, ზოგიერთი მისი ხელმძღვანელი თავს ახვევს საქართველოსგან მოწყვეტის და ქართველ ხალხთან უპერსპექტივო კონფრონტაციის სეპარატისტულ გზას, ვისგანაც უნდა მოდიოდეს იგი და ვის მიერ და სადაც უნდა იყოს სანქციონირებული. ჩვენს ფართო საზოგადოებრიობას, ყველას ჩვენ არ შეიძლება არ გვაწუხებდეს ყოველივე ეს, რადგან ხდება თქვენი აშკარა, ფორმალური და ფაქტობრივი მხარდაჭერითა და დახმარებით.

თქვენს ამ მოქმედებას არ იწონებენ არა მარტო სხვა ეროვნების მრავალი წარმომადგენელნი, არამედ საქართველოში მცხოვრები თვით სომხებიც კი, რომლებსაც სურთ მშვიდობიანად და მეგობრულად იყვნენ უპირველესად ქართველ ხალხთან. ნუთუ თქვენთვის ცხადი არ არის ასეთი პოლიტიკისა და ასეთი გზის უიმედობა და განწირულობა?

მოგმართავთ რა ამ წერილით, გთხოვთ ყოველმხრივ და ყურადღებით აწონ-დაწონოთ და შეაფასოთ თქვენი მოქმედება, შეუდაროთ იგი თქვენი ერის წარსულსა და აწმყოს, შეათანხმოთ პრაქტიკული ნაბიჯები სომეხი ხალხისა და სახელმწიფოს ხანგრძლივი ინტერესების გათვალისწინებით.

დაე, ჩვენი და თქვენი მუშაობა, ყველა საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებათა და ორგანიზაციათა მუშაობა მიზნად ისახავდეს თავისი პროგრამისა და დანიშნულების გამართლებას, ხელს უწყობდეს რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა ხალხს შორის მშვიდობისა და მეგობრობის დამყარებას.

თენგიზ ჯიბუტი,
საქინფორმის კორ.

საქართველო—ლატვია: პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა

რიგა. 5 აგვისტო. რიგასა და თბილისს შორის პირდაპირი ორმხრივი საჰაერო მიმოსვლის გახსნის შესახებ საქართველოს ავიაკომპანია „ორბსა" და სახელმწიფო საწარმოს „ლატვიას ავიალინიას" შორის ხელშეკრულების ხელმოწერით დამთავრდა ორი ქვეყნის ავიატორების მოლაპარაკების მესამე ეტაპი. საქართველოს მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ „ორბის" კომერციული დირექტორი იუზა ფრუიძე, მენეჯერი ტვირთზიდვა-მგზავრთა გადაყვანის დარგში თამაზ მეტრეველი, ავიაინსპექტორი თემურ გამეზარდაშვილი, საქინფორმის საკუთარი კორესპონდენტი ბალტიის ქვეყნებში გენადი დემეტრაშვილი, ლატვიის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე ლერი უდესიანი და ლატვია-საქართველოს საქმიანი თანამშრომლობის ასოციაციის „ლიგო-ლილეს" ვიცე-პრეზიდენტი დიმიტრი პავლოვი. ლატვიის მხარეს წარმოადგენდნენ „ლატვიას ავიალინიასის" გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე სერგი პეტროვი, კომერციული დირექტორი გერმან სისოლიატინი და ტვირთზიდვა-მგზავრთა გადაყვანის განყოფილების უფროსი სვეტლანა მოგილნაია.

ერთ კვირაში მოეწყობა ორი რეისი: ორშაბათობით — საქართველოს თვითმფრინავით, პარასკევობით — ლატვიის თვითმფრინავით, ორი დამოუკიდებელი რესპუბლიკის დედაქალაქებს შორის ფრენას დასჭირდება დაახლოებით სამი საათი.

— დღემდე, რიგიდან თბილისში რომ მოხვედრილიყვნენ და აქედან წამოსულიყვნენ, მგზავრები დიდ უხერხულობას განიცდიდნენ და უნდა გაფრენილიყვნენ მოსკოვში, — ამბობს ასოციაცია „ლიგო-ლილეს" პრეზიდენტი მარლენ მიკიანი. — პირდაპირი ავიახაზი საშუალებას მოგვცემს სწრაფად მოხვდნენ თბილისში არა მარტო ლატვიელები, არამედ ბალტიის სხვა ქვეყნების მოქალაქეებიც. თავის მხრივ, საქართველოს და სომხეთის მოქალაქეებს შეუძლიათ განაგრძონ გზა ტრანზიტით რიგის გავლით სკანდინავიის ქვეყნებში. ერთობლივ ავიახაზზე მუშაობა წარიმართება პარიტეტულ საწყისებზე.

14 აგვისტოს თბილის-რიგა-თბილისის პირველ რეისს განახორციელებენ საქართველოს ავიატორები.

ემილია კოჟულე,
ლატვიის დეპეშათა სააგენტოს „ლეტას" დირექტორის მოადგილე.

ეკონომიკა: პრობლემები, პერსპექტივა

აგრარული მეურნეობის საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის ეკონომიკური და ორგანიზაციული პრობლემები

ნოდარ ჭითანავა,
საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ

საბაზრო ურთიერთობა სოფლის მეურნეობაში არ გამორიცხავს მეურნეობრიობის კოოპერაციულ, კოლექტიურ ფორმებს, პირიქით, იგი ხელს უწყობს მათ განვითარებას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სოფლად თავისუფალი და დამოუკიდებელი კოლექტიური მეწარმეების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების არსებობა საბაზრო ურთიერთობის განვითარების საარსებო ინტერესებს შესაბამება.

მათი მოქმედება უნდა წარიმართოს იმავე პრინციპებით, როგორც მეურნეობრიობის კერძო ფორმებში, ოღონდ კოოპერატივების სპეციფიკური საწარმოო და საბაზრო თავისებურებათა რაციონალური და ოპტიმალური განვითარებით.

არსებული საზოგადოებრივი მეურნეობების იმ ნაწილს, რომელთაც ხელსაყრელი ბუნებრივი საწარმოო პირობები, სათანადო მატერიალური ბაზა და სასაქონლო პროდუქციის წარმოების საფუძველი გააჩნიათ და სურთ მეურნეობრიობის კოლექტიური ფორმის შენარჩუნება. ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი, პატივი უნდა ვცეთ მეწარმეთა თავისუფალ ნებას თუ ის საბაზრო ეკონომიკას ემსახურება.

აგროფირმების (აგროკომბინატების) შესახებ

აგროფირმა (აგროკომბინატი) მეურნეობრიობის ის ფორმაა, სადაც იქნება ინტეგრირებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, გადამუშავება და რეალიზაცია. ასეთი ფირმები (აგროკომბინატები) დღეს ფუნქციონირებენ და მათ მომავალში ფართო განვითარების პერსპექტივები აქვთ.

აგროფირმის (აგროკომბინატის) როგორც ინტეგრირებული სტრუქტურული ერთეულის სიცოცხლისუნარიანობა უკვე გამოვლინდა ფასების ლიბერალიზაციის დღევანდელ ეტაპზე, როცა თავი იჩინა ნედლეულის მწარმოებელსა და გადამამუშავებელ საწარმოს შორის სერიოზულმა უთანხმოებამ ნედლეულის ფასისა და მიწოდების პირობების თაობაზე. მეურნეობრიობის ეს ფორმა, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, უზრუნველყოფს მაღალხარისხოვანი საბოლოო პროდუქციის წარმოებისათვის მინდვრისა და მრეწველობის მუშაკთა თანაბარ დაინტერესებას.

მეჩაიეობის, მეხილეობის, მევენახეობის, მებოსტნეობისა და რიგი სხვა დარგების განვითარება, რომელთა პროდუქცია გადამამუშავებელი მრეწველობის ნედლეულს წარმოადგენს, უპირატესად აგროფირების (აგროკომბინატების) ორგანიზაციული ფორმით უნდა წარმოვიდგინოთ. აგროფირმები (აგროკომბინატები) ხელს შეუწყობენ აგრობაზარზე ჯანსაღ კონკურენციას, პროდუქციის სიუხვეს, ფასების სტაბილიზაციას, მათი ლიბერალიზაციისა და საბაზრო მოთხოვნილების დაკმაყოფილების, ბაზრის გაჯერების გზით.

სახელმწიფო მეურნეობების შესახებ

ამ მეურნეობებს განსაკუთრებული სტრატეგიული დანიშნულება აკისრიათ აგრარულ პოლიტიკაში. ისინი ასრულებენ სახელმწიფო დაკვეთებს.

სოფლად არსებულ მეურნეობრიობის მრავალნაირ ფორმებს შორის, თვისებრივად ახალი უნდა იყოს სახელმწიფო მეურნეობების ფუნქციონირების პრაქტიკა.

საგარეუბნო და სასაქონლო პროდუქციის წარმოების ზონებში, აგრეთვე სტრატეგიული დანიშნულების პროდუქციის სამრეწველო წარმოების რეგიონებში, სადაც ამჟამად ფუნქციონირებენ ყოფილი საბჭოთა მეურნეობები, — უნდა შეიქმნას მათ ბაზაზე, მაგრამ მათგან ორგანიზაციულად და ეკონომიკურად განსხვავებული ახალი ტიპის სახელმწიფო მეურნეობები.

შევეხები მათი ფორმირება-ფუნქციონირების ზოგიერთ ასპექტს. ჯერ ერთი, სახელმწიფო მეურნეობა, მეურნეობრიობის სხვა ფორმებთან ერთად, აგროსამრეწველო კომპლექსის აუცილებელ რგოლს წარმოადგენს. იგი ემყარება მიწასა და წარმოების სხვა საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრებას, თვითონვე ეწევა წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას, ასრულებს აგრომომსახურების ფუნქციებს (მანქანა-მექანიზმებით და სხვა), მოქმედებს სახელშეკრულებო ურთიერთობისა და სახელმწიფო დაკვეთების საფუძველზე. თვითონ აწესებს მზა პროდუქციისა და მომსახურების, სერვისის ფასს, დადგენილი წესით აქვს ურთიერთობა ბიუჯეტთან, ახორციელებს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის, ბუნების დაცვისა და ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებებს, სხვა სოციალურ და ეკონომიკურ ფუნქციებს.

სახელმწიფო მეურნეობა (ისე როგორც მეურნეობრიობის სხვა ფორმები), თვითონ ამუშავებს და ამტკიცებს თავის საწარმოო პროგრამას, განსაზღვრავს ფინანსური რესურსების წყაროებს, ატარებს საინვესტიციო, საკადრო პოლიტიკას და ა. შ. იგი ახორციელებს ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და იჯარით გაცემის ფუნქციას. მისი ურთიერთობა სახელმწიფოსთან ყალიბდება რამდენიმე მიმართულებით: სახელმწიფოსაგან იჯარით იღებს მიწას, მონაწილეობს სახელმწიფო დაკვეთების ფორმირებაში (შეთანხმებული ფასებით), ბიუჯეტში შეაქვს კანონმდებლობით განსაზღვრული სახის და ოდენობის გადასახადი, მატერიალურად აგებს პასუხს, თუ სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები მისი მიზეზით დაირღვა. სახელმწიფო, თავის მხრივ, გარკვეულ მატერიალურ და იურიდიულ პასუხისმგებლობას კისრულობს მეურნეობის წინაშე სახელმწიფო დაკვეთების შესრულების დარგში. სახელმწიფო ახორციელებს კონტროლს გაცემული მიწების და სხვა საშუალებების მიზნობრივ გამოყენებაზე, ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა-შესრულებაზე, მეურნეობის სპეციალიზაციაზე, სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციის წარმოებაზე. სახელმწიფომ უნდა გამოყოს ასიგნებანი მელიორაციის, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების, სოციალური პრობლემების (პენსიები, განათლების, კულტურის ობიექტები, გზების მშენებლობა და სხვა) გადასაჭრელად.

მეურნეობა თვითონ განსაზღვრავს წარმოების სტრუქტურას, მართვის აპარატის რიცხოვნობას, სოფლის მოსახლეობის მომსახურების ფორმებსა და სახეებს, პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის სისტემას.

მეურნეობამ, რესპუბლიკაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, უშუალოდ უნდა განახორციელოს საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციები, მას შეუძლია შექმნას სავაჭრო და სხვა სახის ობიექტები, სარეკლამო-საინფორმაციო სამსახური და ა. შ.

ამით, რა თქმა უნდა, არ შეიძლება შემოიფარგლოს მეურნეობრიობის ფორმები. არ უნდა გამოვერიცხოთ მცირე საწარმოების, სააქციო საზოგადოების, სხვადასხვა სახის ამხანაგობებისა და სხვა ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბება-ფუნქციონირებაც. სამეურნეო ცხოვრება, პრაქტიკა თვითონ შეიტანს სათანადო კორექტივებს მეურნეობრიობის ფორმებში, წარმოშობს ახალ ფორმებს, დინამიურად განავითარებს ძველს. ეს დიალექტიკურად ცვლადი და განვითარებადი პროცესია. მას თავისი შინაგანი კანონზომიერებები გააჩნია. აქ ერთხელ და სამუდამოდ მოცემული არაფერი არ არის.

იმისთვის, რომ სწორად წარმართოთ ამჟამად არსებული საზოგადოებრივი მეურნეობების ეკონომიკური და ორგანიზაციული სტრუქტურების მეურნეობრიობის პროგრესულ ფორმებად, მიზანშეწონილი გარდაქმნა (და არა იძულებითი დაშლა), აუცილებელია მთელი რიგი ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ღონისძიებათა განხორციელება. გამოვყოფთ რამდენიმე მთავარ მომენტს:

ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაში მიწის პრივატიზაციის შემდეგ უნდა მოხდეს დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, რესურსების, წარმოების ძირითადი საშუალებებისა და სხვა ქონების ინვენტარიზაცია, აგრეთვე სახელმწიფო ბანკის, მომწოდებლებისა და სხვა პარტნიორების დავალიანების ზუსტი აღრიცხვა, ანგარიშსწორება, ფინანსური მდგომარეობის ობიექტური შეფასება. სწორედ ეს უნდა დაედოს საფუძვლად მეურნეობრიობის ახალი ფორმების (ტიპების) არჩევას და მათი ეკონომიკური და ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმირებას. ჩვენი აზრით, ეს მუშაობა უნდა ჩატარდეს ადგილობრივი მმართველობის, საკუთრივ მეურნეობებისა და სხვა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით.

შეიძლება კონკრეტული პირობების შესაბამისად რამდენიმე სპეციფიკური საკითხი წარმოიშვას.

თუ პრივატიზაციის შემდეგ კოლმეურნეობებსა და მეურნეობებს არ რჩებათ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ბუნებრივია უნდა მოხდეს მათი ლიკვიდაცია. როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? მთავარია, არსებული ქონება პირველ რიგში სახელმწიფო ბანკისა და სხვა დავალებების დასაფარავად იქნას გამოყენებული, ხოლო დარჩენილი ნაწილი ადგილობრივი მმართველობისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის განკარგულებაში გადავცეთ.

რაც შეეხება სატრანსპორტო საშუალებებს და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, შეიძლება მოქმედების ორი ვარიანტი ავირჩიოთ: მოხდეს მისი რეალიზაცია, გაიყიდოს ბაზარზე. ასეთ შემთხვევაში არ უნდა გამოვრიცხოთ მანქანა-იარაღების ერთობლივი გამოყენების ამხანაგობების, კოოპერატივების და სხვა. შექმნა; შეიქმნას მომსახურების (აგროსერვისის) საწარმოო, გაქირავების პუნქტი და სხვა. მას გადაეცეს ტექნიკა და მექანიზმები. მოემსახუროს იგი სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

ჩვენი აზრით, ეს ფორმა უფრო პასუხობს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სტაბილიზაციის დღევანდელ მოთხოვნებს.

იმ შემთხვევაში, როცა მიწის პრივატიზაციის დამთავრების შემდეგ საზოგადოებრივ მეურნეობაში მაინც რჩება მიწის გარკვეული რესურსები, მიზანშეწონილია განისაზღვროს მეურნეობრიობის ახალი, სხვა კონკრეტული ფორმა. შეიძლება დარჩენილი რესურსების ბაზაზე ჩამოყალიბდეს გლეხური (ფერმერული) მეურნეობები, კოოპერატივი (ან კოოპერატივები) და ა. შ.

ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ თავისებურება-ნიუანსსაც: მოსახლეობამ შეიძლება გადაწყვიტოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების (ან სხვა ფორმების) შექმნა ცალკეული დასახლებული უბნებისა და სოფლების მიხედვით, რომლებიც თავის დროზე ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით გააერთიანეს ერთ საზოგადოებრივ მეურნეობად. მოსახლეობის ასეთ სურვილს მხარი უნდა დავუჭიროთ.

საზოგადოებრივ მეურნეობათა მეურნეობრიობის ახალ ტიპებად გარდაქმნის პროცესში აქტიურად დგება მათი მომსახურების (აგროსერვისის) პრობლემა, მოკლედ შევეხებით ზოგიერთ საკითხს. მეურნეობრიობის ახალი ფორმების ფუნქციონირება ბუნებრივია ვერ შეეგუება წარმოების ორგანიზაციისა და მართვის ადრე ჩამოყალიბებულ სტრუქტურებს. ამდენად, აუცილებელია აგროსერვისის ორგანიზაციული და სტრუქტურული გარდაქმნა. უნდა შემოვიღოთ ურთიერთობის ახალი, პროგრესული სქემები და მოდელები. აქვე აღვნიშნავთ, რომ სერვისის სამსახურების გარდაქმნა უნდა მოხდეს ეტაპობრივად, პრივატიზაციის მიმდინარეობის შესაბამისად, ერთობ დიდი სიფრთხილით, წინდახედულებით, რათა არ მოიშალოს ის ტექნიკური და ტექნოლოგიური სტრუქტურები, რომელთა სრულყოფა უზრუნველყოფს სადღეისო ამოცანების გადაწყვეტას.

სტაბილიზაციის დღევანდელ ეტაპზე ჩვენ აუცილებლად ვთვლით, რომ სახელმწიფომ გამოყოს აგროსერვისისათვის რესურსების სათანადო კვოტები, ლიმიტები და სხვა.

ყოველი გარდაქმნა უნდა დაექვემდებაროს ცენტრალურ ამოცანას: აგროსერვისის სტრუქტურა, ჯერ ერთი უნდა დარჩეს სოფლად ტექნიკური პოლიტიკის გამტარებელ მთავარ სამსახურად და მეორე, მომავალშიც შეასრულოს მრეწველობისა (ასევე სხვა დარგებისა) და სოფლის მეურნეობის დამაკავშირებელი ცენტრალური რგოლის ფუნქცია, ასეთი ფუნქცია დღეს შეიძლება შეასრულოს აგროსერვისის სახელმწიფო-კომერციულმა სტრუქტურამ. თუმცა, არ გამოვრიცხავთ პარალელური, არასახელმწიფოებრივი სტრუქტურების ფუნქციონირებასაც. ისინი ხელს შეუწყობენ მომსახურების დისკომფორტის დაძლევას, შეავსებენ სერვისის „ვაკუუმს", ამავე დროს გაუწევენ კონკურენციას სახელმწიფო აგროსერვისის სამსახურებს. უნდა გვახსოვდეს, რომ აგროსერვისი იმდენად რთული რგოლია, რომ მისი მარტოოდენ ბაზრის სტიქიის ანაბარა მიშვება, გონივრული ეკონომიკური პოლიტიკისა და პრიორიტეტების განსაზღვრის გარეშე, შეუძლებელია. ეს უხეში შეცდომა იქნება.

დღეს აუცილებელია სოფლისათვის სახელმწიფო მხარდაჭერა. მეურნეობრიობის ახალ ფორმებს არ შეუძლიათ (პირველ ეტაპზე მაინც) კონკურენცია გაუწიონ ქალაქურ ბიზნესს, მას მეტი საშუალებები აქვს და მოსალოდნელია მისი აქტიურად ჩარევა მიწათმფლობელობის სფეროში, სურსათის გადამუშავებასა და რეალიზაციაში (ეს ტენდენცია დღეს აშკარად ჩანს), ასეთი ჩარევით შეიძლება გლეხურმა (ფერმერულმა) მეურნეობებმა და სხვა მცირე საწარმოებმა დაკარგონ გაფართოებული კვლავწარმოების შესაძლებლობა. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება ყოველმხრივ უნდა დავიცვათ.

გლეხური (ფერმერული) და მეურნეობრიობის სხვა ფორმების სახელმწიფო მხარდაჭერის მიმართულება და ფორმები უნდა განისაზღვროს საკანონმდებლო აქტებით, მთავრობის დადგენილებებით და სხვა დოკუმენტებით. უნდა დადგინდეს დაბეგვრის, დაკრედიტების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიზნობრივი გამოყოფის, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების, აგროსერვისის წესი და სხვა. ყველა ეს და სხვა საკითხები კომპლექსურად დამუშავებულია და მათი რეალიზაციის პროგრამა უახლოეს დროში ჩვენს მიერ წარედგინება საქართველოს დროებით მთავრობას.

ჩვენ აქ შევეხეთ სოფლის მეურნეობის ძირეულ რგოლში გარდაქმნის პრინციპებსა და მიმართულებებს, საბაზრო ურთიერთობათა რთულ სისტემაში მისი ფუნქციონირების პირობებსა და სხვა ფაქტორებს, მაგრამ სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების ეკონომიკური და ორგანიზაციული სტრუქტურების რადიკალური შეცვლა დამოკიდებულია მთელი რიგი სხვა პრობლემების ყოველმხრივ შესწავლა-ანალიზზე.

კომპეტენტურ მიდგომას მოითხოვს აგროსამრეწველო ინტეგრაციის განვითარების თავისებურების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მართვის დარგობრივი, უწყებრივი და რეგიონალური სტრუქტურების, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლების, კადრების მომზადების სისტემის სრულყოფისა და სხვა პრობლემების შესწავლა-გადაწყვეტა.

ამიტომ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების აღნიშნულ და სხვა პრობლემებს უფრო ვრცლად, ცალკე და სხვა დროს განვიხილავთ.

— კრიზისიდან — სტაბილიზაციისაკენ, სტაბილიზაციიდან — სრულყოფილ საბაზრო ეკონომიკისაკენ — ასე გვესახება ეროვნული სოფლის მეურნეობის განვითარების გზა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა" №№ 145-146, 147, 148.

კონტროლის რაიონულ პალატებში

პირველი ნაბიჯები

ჰენრი შარიქაძე,
„სრ" საკ. კორ.

რესპუბლიკაში შეიქმნა კონტროლის რაიონული პალატები. როგორ წარმართავენ ისინი მუშაობას? — ამჟერად ამ კითხვით ზესტაფონის რაიონის კონტროლის პალატის თავმჯდომარეს მერაბ მახათაძეს მივმართეთ.

— კონტროლის რაიონული პალატა, — გვითხრა მან, — დებულების შესაბამისად, რაიონში საფინანსო ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც დიდი უფლებებითაა აღჭურვილი.

ჩვენ გვევალება რაიონის ბიუჯეტის შედგენისა და ხარჯის, სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვის კონტროლი. უფლება გვაქვს ჩავატაროთ რაიონის საწარმოო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობის რევიზია და შემოწმება, დავაწესოთ ზედამხედველობა სახსრების ხარჯვის კანონიერებაზე, მიზანშეწონილობასა და ეფექტიანობაზე, გავაკონტროლოთ პრივატიზაციის მიმდინარეობა, საიჯარო საწარმოთა საქმიანობა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ეფექტურობა და დანიშნულებისამებრ გამოყენება, გავაანალიზოთ საგადასახადო ინსპექციის მუშაობა, გავაკონტროლოთ, თუ რამდენად მიზნობრივად და კანონიერად გამოიყენება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრები.

შეგვიძლია აგრეთვე თანამდებობის პირთა მიერ დაშვებული დარღვევებისთვის გამოვიყენოთ კანონით გათვალისწინებული სანქციები. გვაქვს სხვა მთელი რიგი უფლებებიც.

იმაზე კი, თუ როგორ დაიწყო ამ უფლებების გამოყენება ზესტაფონის რაიონის კონტროლის პალატამ, მისი მუშაობის პირველი შედეგებიც მეტყველებს.

წლეულს, პირველი ივნისიდან, მისმა მუშაკებმა შეისწავლეს მთელი რიგი ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა. საგზაო უბანში, პურკომბინატში, ენერგომომარაგებასა და სხვა ორგანიზაციებში გამოვლინდა მილიონ ოცი ათასი მანეთი, საიდანაც ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა გადაიხადონ 632 ათასი მანეთი. ამას კონტროლს დაუწესებს ახლადშექმნილი პალატის საბჭო.

თვალი გადავავლეთ პალატის ოპერატიულ სამუშაო გეგმას. განსახილველი საკითხების უმეტესი ნაწილი ამ ორგანოს კომპეტენციაში შემავალი სფეროს თითქმის ყველა უბანს მოიცავს. დადგენილია საკითხები, შემოწმების ვადები და გამოყოფილია შემსრულებლები. აღსანიშნავია, რომ პალატასთან შეუთანხმებლად პრესისა და სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლების გარდა ნებისმიერი ზემდგომი ორგანოებიდან მოვლინებულებს არა აქვთ უფლება რაიონში შეამოწმონ რომელიმე დარგი.

ზესტაფონის კონტროლის რაიონული პალატა პირველ ნაბიჯებს დგამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტევება, მონანიება, შერიგება

სარედაქციო ფოსტიდან

გაეროში საქართველოს გაწევრიანებასა და ამ უღირსშესანიშნავეს ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით სამოქალაქო მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის დამკვიდრების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მანიფესტის მიღების გამო რედაქციაში უწყვეტ ნაკადად შემოდის მკითხველთა წერილები, რომელთა ნაწილსაც დღეს ვაქვეყნებთ.

კიდევ ერთხელ გვარწმუნებს

მეცნიერებათა აკადემიის მრავალათასიანი კოლექტივის სახელით სულითა და გულით ვულოცავთ ქართველ ხალხს, სრულიად საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთი უმთავრესი ეტაპის დასრულებას — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად საქართველოს მიღებას.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით შევხვდით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მანიფესტს, რომელიც მოჰყვა მსოფლიოს მიერ საქართველოს ცნობის ამ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებას.

მანიფესტის მიღება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს უმთავრესი საზრუნავია ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის მიღწევა.

ჩვენ მოვუწოდებთ ქართველ ხალხს, საქართველოს მთელ მოსახლეობას თავისი ნიჭი, ძალა, გამრჯეობა სრულად მოახმარონ ჩვენი ქვეყნის საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისა და დემოკრატიული აღმშენებლობის უზრუნველყოფას. საქართველოს მეცნიერები კი თავის მხრივ ყველაფერს იღონებენ იმისთვის, რომ მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ამ პროცესების სასიკეთოდ დამთავრებას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

როცა ერის ინტერესები გამოქრავებს, პირადულს ივიწყებ

პოლიტიკური თუ ეკონომიკური, სტიქიური თუ ეთნიკური კატაკლიზმებით მოქუფრულ ცის კაბადონზე სინათლის სხივი გამოკრთა. ქვეყანა შევიდა ერთა თანამეგობრობაში.

თუ ამ ნდობასა და ცნობას ცივი გონებით გავაანალიზებთ, აღმოვაჩენთ, რომ ის, რაც ჯერ ჩვენ არ დაგვიმსახურებია, გაეროში ერის სახელოვან შვილზე გასცა ავანსი, რაც ჩვენი ერთობით, დემოკრატიის შენებით, დაუცხრომელი შრომით უნდა განვამტკიცოთ.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ბევრი რამ გადაგვხდა, ზოგმა რაღაც ვერ მოზომა, ბევრს გული ატკინა, ზოგიერთმა ვერ გაუძლო უფლებამოსილების ცდუნებას და ისე შორს შეტოპა, რომ მოუშუშებელი ჭრილობა მიაყენა პიროვნებასა თუ კუთხეს; ზოგს რა შეეშალა და ზოგს რა. როგორც ჩანს, ასეთ დროს ხდება ხოლმე ასეთი რამ, მაგრამ, როცა ერის გადარჩენის საკითხი დგება, თავს უნდა მოვერიოთ, პირადულზე მაღლა დავდგეთ და საქვეყნო საქმეს შევუდგეთ მხრებით. სხვა გზა არ არსებობს.

სავანეში კალიების შემოსევის დროს ერთმანეთზე მონადირე მხეცებიც კი ერთად გროვდებიან და ერთად უმკლავდებიან ყოვლისშემმუსვრელ სტიქიას.

დღეს ყველანი ერთად უნდა დავდგეთ, ყველამ ერის საქმე უნდა ვაკეთოთ და ასე მოვუაროთ ჩვენს სვეგამწარებულ ხალხს, ჩვენს ბეჩავ ქვეყანას.

გავყვეთ კაცს, რომელსაც, როგორც არავის, შესწევს უნარი ფონს გაგვიყვანოს, სწორ გზაზე დაგვაყენოს, და მერე ვიფიქროთ საკუთარ სატკივარზე.

ლევან ჩიქვანაია,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის კოლექტივის სახელით.

ადამიანურ განზომილებათა მიღმა

უჩვეულო, გაბედული მესიანური მისია დასავლეთ საქართველოს აბობოქრებულ სამეგრელოს რაიონებში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მანიფესტი — მსოფლიო პრაქტიკის უნიკალური დოკუმენტი.

ქართველი ხალხის ყოფნა-არყოფნისთვის ეს ორი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა მჭიდროდაა გადაჯაჭვული, პირველმა მეორე განაპირობა და უფსკრულის პირზე მისულ საქართველოს გადარჩენის ერთადერთ და გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას უკანასკნელ შანსს აძლევს.

დღეს ქართველი ერი, ყოველი ქართველი საბოლოო არჩევანის წინაშე აღმოჩნდა — ან მიტევება, შერიგება და სიყვარული, ან ისტორიის ასპარეზიდან გაქრობა. ყოველი ქართველი პირადულზე, ამბიციურობაზე, კუთხურობაზე, ეთნიკურობაზე, ნათესაურობაზე მაღლა უნდა დადგეს. უკან დასახევი გზა დღეს აღარა გვაქვს.

შემთხვევითი როდი იყო, რომ მთელი მსოფლიო სულგანაბული ადევნებდა თვალს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის უპრეცედენტო, ეროვნული შერიგებისა და მიტევების მისიას სამეგრელოს რაიონებში. ეს გასაგებიცაა. საქართველოს განუმეორებელ გეოპოლიტიკურ მდგომარეობას საგანგებო მნიშვნელობა შესძინა მსოფლიო პოლიტიკისათვის საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილმა რეალობებმა. წელს გაზაფხულის დამდეგს, საქართველოში ედუარდ შევარდნაძის დაბრუნებამ საქართველო მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში მოაქცია.

საქართველოს უმძიმეს მდგომარეობიდან და საერთაშორისო იზოლაციიდან გამოყვანისთვის მთელი ძალით ამოქმედდა ედუარდ შევარდნაძის უზარმაზარი საერთაშორისო ავტორიტეტი. ამ გაზაფხულზე დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის ფართო საერთაშორისო ცნობა და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების პროცესი. დიდი დიპლომატიური გამარჯვება და აღიარება იყო საქართველოს მიღება საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წევრად, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შემადგენლობაში. **საქართველოს უდიდესი პოლიტიკური და დიპლომატიური გამარჯვება იყო დაგომისის (სოჭი) ისტორიული შეხვედრა, საქართველო-რუსეთის კომუნიკე, რომელიც საფუძვლად დაედება ორი ქვეყნის დიდხელშეკრულებას, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება რუსეთ-საქართველოს თვისებრივად ახლებური ურთიერთობის ძირითადი პრინციპები.** რომლებიც სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ცნობენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, დასახავენ თანამშრომლობისა და პარტნიორობის პერსპექტივებს დემოკრატიულ საქართველოსა და დემოკრატიულ რუსეთს შორის. **დაგომისშივე საბოლოოდ შემუშავდა ქართველთა და ოსთა კონფლიქტის მოწესრიგების ქმედითი მექანიზმი, რომლის წინა ვარიანტები (ცხინვალისა და ყაზბეგის) დესტრუქციული და კონსერვატიული ძალების მოქმედების გამო ვერ ამოქმედდა. დაგომისის ვარიანტი კი უკვე წარმატებით მოქმედებს ცხინვალის რეგიონში და დნესტრისპირეთში.** მალე შეიძლება ეთნოკონფლიქტების მოწესრიგების მსოფლიო პრაქტიკაშიც დაინერგოს.

უნიკალური იყო ბატონ ედუარდ შევარდნაძის შორსმჭვრეტელური საპროგრამო გამოსვლა სტამბოლში შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო კონფერენციაზე. მან პოლიტიკური განზომილება მიანიჭა ახალ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელმაც ერთმანეთს უნდა დაუკავშიროს აღმოსავლეთი და დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი.

დიდი პოლიტიკის გამარჯვება იყო ჰელსინკის უმაღლესი დონის თათბირში მონაწილეობა. **ბატონ ედუარდ შევარდნაძის კონკრეტული წინადადებები ამ ორგანიზაციის ეფექტიანი მექანიზმის შექმნის შესახებ საბოლოო დოკუმენტში აისახა. და ბოლოს, ლოგიკური შედეგი, დიდი პოლიტიკის, დიდი დიპლომატიის ტრიუმფი — 31 ივლისი, საქართველოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღება, რომელიც საქართველოში ეროვნული თანხმობის, სამოქალაქო და ერთაშორისი შერიგების დღედ გამოცხადდა.**

ირაკლი ჯაფარიძე.

დიდი სიხარული განვიცადეთ

სენაკელები დიდ სიხარულს განვიცდით, რომ 31 ივლისს საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა. ბოლოს და ბოლოს, დადგა ქართველი ხალხისთვის ნანატრი დღე, როდესაც მთელმა მსოფლიომ გვაღიარა და გვცნო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. გვიხარია, რომ ქართველი ვაჟკაცების სისხლი უქმად არ დაღვრილა. ყველა ქართველის დიდი ხნის ნანატრი ოცნება ახდა. თითოეულ ჩვენგანს შეგნებული გვაქვს, რომ საქართველოს ესოდენ დიდი გამარჯვება ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის დამსახურებაა. გვწამს, რომ ხვალინდელი დღე ნათელი და ბედნიერი იქნება საქართველოსთვის.

მივესალმებით 4 აგვისტოს თბილისში რესპუბლიკის მოედანზე ბ-ნ ე. შევარდნაძის მიერ წაკითხული მანიფესტის შინაარსს, მის ჰუმანურობას. გვჯერა, რომ ბოლო მოეღება ძმათა შორის შუღლსა და სისხლისღვრას. დამყარდება სამოქალაქო მშვიდობა.

მარინე ლიფონავა,
პედაგოგი.

ქ. სენაკი.

ახლებურად დავინახოთ მომავალი

1992 წლის 31 ივლისი, ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ჩაიწერება, როგორც ღირსშესანიშნავი დღე, რომელმაც სტიმული უნდა მისცეს ქართველ ერს, ახლებურად დაინახოს საქართველოს მომავალი.

მოხარულნი ვართ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს რესპუბლიკის მიღებისა, მადლობას მოვახსენებთ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს, რამეთუ ჩვენი აღიარება მოხდა არა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობაში მიღწეული დადებითი ძვრების, არამედ სწორედ ბ-ნ ედუარდის საერთაშორისო ავტორიტეტის გათვალისწინების შედეგად.

საქართველოს თავისუფლების პარტია ულოცავს ქართველობას ამ უაღრესად სასიამოვნო დღეს და მოუწოდებს ყველას, ძალღონე არ დაიშურონ საშინაო საქმეების მოსაგვარებლად, ძლიერი, ეროვნული სახელმწიფოს მოსაწყობად.

საქართველოს თავისუფლების პარტია.

შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში

ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები მოსკოვში მოლაპარაკებას იწყებენ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ანდრია კოზირევთან ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან რუსეთის ჯარის გაყვანის თაობაზე. მოსკოვში გამგზავრებამდე მინისტრები ერთმანეთს რიგაში შეხვდნენ ერთობლივი პოზიციის შესამუშავებლად.

ტეტჩერი მოუწოდებს

დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა მოუწოდა დაუყოვნებლივ დაიწყონ სამხედრო დახმარების გაწევა ბოსნიისათვის, კერძოდ, გაუგზავნონ იარაღი. მოითხოვა ძალის გამოყენება „აგრესორის შესაჩერებლად, რომელმაც 2,5 მილიონ კაცს საკუთარი სახლები მიატოვებინა“. დიდი ბრიტანეთის მთავრობა გამორიცხავს უშუალო სამხედრო ინტერვენციას ყოფილ იუგოსლავიაში, მას აშინებს „ვიეტნამის სინდრომი“.

გაურკვეველი დროით გადაიდო

ყარაბაღის საკითხზე მინსკის საერთაშორისო კონფერენციის მოსამზადებელი შეხვედრის რომის მოლაპარაკების მეოთხე რაუნდის მონაწილე 11 ქვეყნის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს რომის შეხვედრა გაურკვეველი დროით გადაედოთ. სომხეთის დელეგაციის მეთაურის ტერ-პეტროსიანის აზრით, შეხვედრის მსვლელობა ადასტურებს, რომ ჩაიშალა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ცდები გამოეძებნათ ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტის გზები. რომის შეხვედრის მარცხის მთავარ მიზეზად მან დაასახელა „აზერბაიჯანის გადაწყვეტილება განაგრძოს თავისი ძალისმიერი პოლიტიკა ყარაბაღის მიმართ“. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ შეხვედრა ჩიხში მოაქცია ყარაბაღის სომხური თემის წარმომადგენლების მოთხოვნამ მონაწილეობა მიეღოთ შეხვედრაში, როგორც სრულუფლებიან წევრებს, მათ კი, ისევე როგორც აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლებს, მინიჭებული აქვთ მხოლოდ შემთვალყურეების სტატუსი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

„მოლაპარაკებაში ამერიკა უნდა მონაწილეობდეს“

რუსეთის ფედერაციის მთავრობის ვიცე-თავმჯდომარემ მიხეილ პოლტორანინმა იაპონიის პრემიერ-მინისტრთან კიიტი მიაძავასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ „შეხვედრა საინტერესო და კარგი იყო, რომ არ არის დაკავშირებული პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები... იაპონიამ მოთმინება უნდა გამოიჩინოს... შემდგომ მოლაპარაკებაში ამერიკამაც უნდა მიიღოს მონაწილეობა... პრეზიდენტი ბორის ელცინი კონკრეტული წინადადებით ეწვევა ტოკიოს“.

პოპულარობის რეკორდულად დაბალი დონე

ეი-ბი-სის ტელეკომპანიისა და გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ მიერ გამოქვეყნებული გამოკითხვის მონაცემების თანახმად, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს მხარს უჭერს ამომრჩეველთა 33 პროცენტი. ბუშის თეთრ სახლში ყოფნის დროს ჯერ არასოდეს არ ყოფილა მისი პირადი პოპულარობა ესოდენ დაბალი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთაგან არც ერთი არ ყოფილა თავისი პოპულარობის ისეთი ხანგრძლივი და არსებითი დაქვეითების მოწმე, როგორიც აღმოჩნდა ბუში. 1991 წლის მარტიდან 1992 წლის აგვისტომდე პერიოდში თეთრი სახლის პატრონის მხარდამჭერის დონე შემცირდა 57 პროცენტით (90 პროცენტიდან ახლანდელ 33 პროცენტამდე). ამის მთავარ მიზეზად ეკონომიკის დაცემას ასახელებენ. ბოლო ხანებში ქვეყნის ეკონომიკის ზრდა დაიწყო, ამიტომ, ბევრი გამოცდილი პოლიტოლოგის აზრით, ბუში შეძლებს მდგომარეობის გამოსწორებას და არჩევნების ფინიშზე ორივე მეტოქეს თანაბარი პოპულარობა ექნება, ხოლო ფინიშზე ბუში გაუსწრებს დემოკრატთა კანდიდატს კლინტონს.

საზრისი

დავუბრუნდეთ ცივილიზებულ სამყაროს

რამაზ კლიმიაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანებით აღსრულდა ყველა ქართველის საუკუნოებრივი ოცნება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შესახებ და დამთავრდა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ცნობა მსოფლიოს მიერ. გასავლელი გვაქვს ეკონომიკური ორიენტაციის შეცვლის მძიმე გზაც, რისი მთავარი ატრიბუტიც რუსული მანეთის ზონიდან გამოსვლა იქნება, მაგრამ, იმედი ვიქონიოთ, ამასაც გავართმევთ თავს.

ახლა კი მოსაგვარებელი რჩება მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფაქტორი — ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ კოლონიურ წარსულზე საბოლოო უარის თქმა. კერძოდ, საქმე ეხება გრიგორიანულ კალენდარს, ანუ „ძველ სტილს“, რომელიც არის რუსული ეკლესიისათვის დამახასიათებელი ნიშანი და რომელზეც ყველა სხვა ქრისტიანულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დიდი ხანია უარი თქვა.

მართლმადიდებელთა ყველაზე დიდი დღესასწაული — აღდგომა კალენდარზე არ არის დამოკიდებული (ე. ი. საეკლესიო ენით, მოძრავია), მაგრამ მეორე უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს — ქრისტეშობას მთელი საქრისტიანო აღნიშნავს 25 დეკემბერს (გავიხსენოთ ძველი ქართული საგალობელი „ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსა“), მაგრამ ჩვენ, რუსებთან ერთად, ამას ვდღესასწაულობთ 7 იანვარს. 25 დეკემბერი — არასამუშაო დღეა მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში — ევროპაში, ამერიკასა და ავსტრალიაში, ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაშიც კი, ჩვენთან კი შარშან, რუსების შემხედვარე, არასამუშაო დღედ დაწესდა... 7 იანვარი! (ეს უფრო უვიცობა იყო, ვიდრე ეროვნული ნიჰილიზმი).

დღეს თუ ჩვენ ცივილიზებულ სამყაროს ვუბრუნდებით, ბუნებრივია, წარსულის ეს ხუნდიც უნდა მოვიცილოთ. თან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ ქრისტეშობას კვლავ 25 დეკემბერს აღვნიშნავთ, ისე როგორც ეს ტრადიციულად იყო მიღებული საქართველოში, ჩვენ ხელს შევუწყობთ ქართველთა ერთიანობას. ქართველ ქრისტიანთა შორის მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არიან კათოლიკეები და პროტესტანტებიც, რომლებიც ჩვენგან განსხვავებით, ამ დიდ დღესასწაულს მთელ მსოფლიოსთან ერთად აღნიშნავენ.

მე მესმის, რომ უძრავი საეკლესიო დღესასწაულების ორი კვირით წინ გადმოწევა არცთუ იოლი საქმეა და იქნებიან ზოგიერთი ხანშიშესული მორწმუნეებიც, რომლებიც ეკლესიის თანამედროვე კალენდარზე გადასვლას ვერ გაითვითცნობიერებენ. მაგრამ ყოველთვის იყო გაუგებრობა, ვთქვათ, თამარობა 1 მაისს უნდა აღნიშნულიყო თუ 13-ში, წმ. ნინოს დღე 14 იანვარს თუ 27-ში, კიდევ უფრო მეტი გაუგებრობაა უნივერსიტეტის დაარსების თარიღი რომელ დღეს უნდა აღვნიშნოთ, და ა. შ. რასაც ეკლესიას ერთბაშად შეუძლია მოუღოს ბოლო. მთავარია, რომ ჩვენ ახალ საქართველოს ვაშენებთ, ხოლო „ძველი სტილი“ კოლონიური წარსულის გადმონაშთია და საეკლესიო კალენდრის შეცვლა ადრე თუ გვიან სრულიად გარდაუვალია.

რასაკვირველია, დარჩებიან „ძველი სტილის“ მოტრფიალენიც, ისე როგორც რუსეთის სოფლებში ახალ წელს პრინციპულად 13 იანვარს აღნიშნავენ, მაგრამ ჩვენც მათ ხომ არ დავემსგავსებით?

ბოლო სიტყვა ამ საკითხში ეკუთვნის უწმინდესსა და უნეტარესს: თუ იგი ბრძანებს, რომ „ძველ სტილზე“ უარის თქმა ახლო მომავალში ვერ მოხერხდება, მისი სიტყვა ყველა მართლმადიდებელი ქართველისათვის კანონია. მაგრამ თუ გადასვლა ძალიან დიდ სირთულეებთან არ იქნება დაკავშირებული, კარგი იქნებოდა, ეს მომხდარიყო სწორედ საქართველოსათვის ამ ისტორიულ 1992 წელს, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ დაიბრუნა დამოუკიდებლობა და პირველი ნაბიჯები გადადგა მსოფლიო ასპარეზზე, სადაც წარსულის მძიმე ტვირთის გარეშე უნდა ვიაროთ!

არდავიწყება მოყვრისა

„ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ქირისუფალი“...

ანუ საფლავის ქვაზე ამოკვეთილ ამ სტრიქონებში გაცხადებული ცხოვრებისეული კრედო ადამიანისა, რომლის ხსოვნასაც ჩვენგან სათანადო პატრონობა და გაფრთხილება სჭირდება

> „ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი
> ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო,
> თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,
> დე, მტვრად ქცეული დამენახოს მთელი
> სამყარო“.
>
> **წარწერა ნოე ჟორდანიას საფლავის ქვაზე.**

თუმცა წინამდებარე საგაზეთო მასალის სათაურში გამოტანილი ტაეპი ლექსისა, უფრო სწორად, საოცარი ღაღადისი შეჭირვებულ მამულზე დღენიადაგ ფიქრითა და ზრუნვით მართლაც გულდამწვარ-დადაგული პიროვნებისა, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ტაბუდადებულივით იყო, მკითხველთა დიდი უმეტესობა, ალბათ, მაინც იოლად მიხვდება ვისი საფლავის ქვაზეც არის იგი ამოკვეთილი.



1868–1953.

NOE JORDANIA
Président du Gouvernement
Chef de l'Etat de la République Géorgienne

დიახ, ეს ტრაგიკული პიროვნება გახლავთ ნოე ჟორდანია — თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის ფუძემდებელი, 1918–21 წლებში დემოკრატიული საქართველოს პირველი მრავალპარტიული არჩევნებით შედგენილი მთავრობის თავმჯდომარე, მისი თანამედროვეების სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთობ განათლებული, ლმობიერი და დადებითი საქმიანი თუ პიროვნული თვისებების გათვალისწინებით საყოველთაო სიყვარულით გარემოსილი პიროვნება, რომლის ავტორიტეტმაც დიდად შეუწყო ხელი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარებას. და რომ არა ზოგიერთი „ქართველი“, უფრო სწორად, „ქართველები“, რომელთა უშუალო ხელმძღვანელობა-მონაწილეობითაც საქართველო წითელმა არმიამ დაიპყრო...

თუმცა ჩვენი დღევანდელი საუბრის მიზანი სულაც არ გახლავთ ნოე ჟორდანიას პიროვნებასა და ისტორიის ისედაც ცნობილ მოვლენებზე ყურადღების საგანგებოდ შეჩერება. ამჯერად გვინდა ვილაპარაკოთ ნოე ჟორდანიას ახლადშექმნილ ფონდზე, მის მიერ დროის მცირე მონაკვეთში გაწეულ მუშაობასა და სამომავლო ამოცანებზე.

ეს ფონდი, რომლის ჩამოყალიბების ინიციატორთა შორის იყვნენ პროფესორები გურამ მუჩაიძე, გურამ შარაძე, ნოდარ ბაგრატიონი, კომუნისტების მიერ რეპრესირებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ვეტერანები სიმონ ჭელიძე და პეტრე სიხარულიძე, იამზე ბელთაძე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს თავმჯდომარე მამია ბერიშვილი, გიორგი წერეთელი, აგრეთვე ამ სტრიქონების ავტორი და სხვები, 1990 წელს შეიქმნა. მაგრამ მისი რეგისტრაცია წლევანდელ გაზაფხულამდე ვერ მოხერხდა, რადგან ყოფილი პრეზიდენტი და მისი გარემოცვა რატომღაც ნეგატიურად იყვნენ განწყობილი ნოე ჟორდანიას მიმართ და მის საწინააღმდეგოდ კომუნისტთა მიერ შეთითხნილ ჭორებს იყენებდნენ.

ფონდი ძირითადად პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ მიზნებს ისახავს. უთუოდ აღსანიშნავია ისიც, რომ იგი თავისი მოწოდებითა და დანიშნულებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზეპარტიულია — არ გამოხატავს ერთი რომელიმე ცალკეული პარტიის ინტერესებს და თავის რიგებში აერთიანებს ნებისმიერი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, ღვთისმსახურთ, ყველას, ვისაც გულით სურს კონკრეტული საქმეებით ამოუდგეს მხარში ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებაში, ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში, ეთნოკონფლიქტების დაძლევაში, კრიმინოგენული სიტუაციის ძირეულ გაუმჯობესებასა და ჭეშმარიტი დემოკრატიის დამკვიდრებაში.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ ფონდის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი — მიაღწიოს იმას, რომ სათანადო პატივს მივაგებდეთ ნოე ჟორდანიას — ამ ღირსეული მამულიშვილის ხსოვნას, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება საქართველოს და მისი ბედნიერებისთვის ბრძოლას შესწირა. ამისთვის ბევრ სხვა რამესთან ერთად საჭიროდ მიგვაჩნია, თბილისში, სადაც იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, აგრეთვე მის მშობლიურ ლანჩხუთში გაიხსნას ნოე ჟორდანიას სახლ-მუზეუმები, მათთვის საჭირო ექსპონატები, პირადი არქივი იქნება ეს, პირადი ნივთები თუ სხვა, საქართველოს ხელისუფლების დახმარებით უნდა ჩამოვიტანოთ საფრანგეთის ქალაქ ლევილიდან. თბილისის რომელიმე პროსპექტს ან მოედანს მიენიჭოს ნოე ჟორდანიას სახელი, დაიდგას მისი ძეგლი და დავიწყოთ ზრუნვა საქართველოს დედაქალაქში ამ ჭეშმარიტი მამულიშვილის ნეშტის გადმოსვენებისათვის.

მაგრამ როგორც ვთქვით, ფონდის უმთავრესი მიზანია დემოკრატიზაციის პროცესის დამკვიდრების ხელშეწყობა. საამისოდ განზრახული გვაქვს სწავლების სხვადასხვა ფორმის გამოყენება. ვვარაუდობთ დემოკრატიული პრინციპების შესასწავლად, პროფკავშირული მუშაობის გამოცდილების გასაცნობად თუ სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში გავგზავნოთ საქართველოს წარმომადგენლები. რესპუბლიკის მომავალი ფერმერების ერთი ჯგუფიც გვსურს მივავლინოთ საზღვარგარეთ ფერმერებთან და სხვა. მაგრამ უმთავრესად მაინც მიგვაჩნია დემოკრატიული წრთობის სკოლის შექმნა იმ გვარდიელებისა თუ „მხედრიონის“ წევრთათვის, ვინც იარაღით ხელში იბრძოდა დემოკრატიისთვის და ახლაც იბრძვის მისი საბოლოოდ დამკვიდრებისთვის. ამგვარ სკოლებში უნდა ასწავლიდნენ დღევანდელობის ყველა გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, ეკონომისტი, მართვის სისტემების სპეციალისტები, ღვთისმსახურნი... ყველაფერი ეს განსაკუთრებით აუცილებელია იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელ მეომრებს ხვალინდელ სამოქალაქო ცხოვრებაში უთუოდ ძალზე დასჭირდებათ სათანადო თეორიული ცოდნა, მით უფრო, თუ ისინი სახელმწიფო სტრუქტურებში იქნებიან დასაქმებულნი...

ყოველივე ამის გაკეთებას მხოლოდ საკუთარი ძალებითა და მარტოოდენ შიშველი ენთუზიაზმით, ცხადია, ვერც შევძლებთ და არც ვაპირებთ. ჩვენი ეს გეგმები საზღვარგარეთის ქვეყნების საქმიან წრეებთან სათანადო კონტაქტებსა და კონკრეტულ მოლაპარაკებებსაც ეფუძნება.

ამ ცოტა ხნის წინ მიწვეული ვიყავი გერმანიაში, კერძოდ, ბონში, სადაც შევხვდი ბუნდესტაგის რამდენიმე წევრს, კერძოდ, ჰანს ფოგელს, ფრიდრიხ ებერტის ფონდის ხელმძღვანელობას, საარის მხარის წარმომადგენლობას ბონში. მათთან საუბრისას ბევრი საქმიანი წინადადება და კონსულტაცია მივიღეთ. საერთოდ კი უთუოდ უნდა აღინიშნოს ის დიდი ყურადღება, რომელსაც იჩენს მთელი ბუნდესტაგი საქართველოს მიმართ, ჩვენთან ამჟამად მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. აქ ძალზე დიდია პატივისცემა ბატონ ედუარდ შევარდნაძის პიროვნებისადმი, და სურვილიც — ყოველმხრივ დაეხმარონ მას და ამით, ცხადია, მთელს ჩვენს ქვეყანასაც.

ჩვენი ფონდის მიზნების გაცნობის შემდეგ ებერტის ფონდის თავმჯდომარემ ბატონმა იურგენ ბოკხარდმა გამოთქვა მზადყოფნა პერიოდულად მიიღოს ჩვენი სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და სტიპენდიითაც უზრუნველყოს ისინი, სტაჟირებაზე სპეციალისტთა მიღების საქმეში დახმარება აღგვითქვა საარის მხარის წარმომადგენელმა ბატონმა შპორცერმაც. მანვე თქვა, რომ განზრახული აქვთ ჩვენთვის გამიზნულ ჰუმანიტარულ დახმარებაში ჩართონ მცირეგაბარიტიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა (ტრაქტორები და მოტობლოკები), რაც ერთგვარად შეუწყობს ხელს საქართველოში მიმდინარე მიწის პრივატიზაციის პროცესის წარმატებით განხორციელებას. დეპუტატმა ბატონმა შპერლინგმა აღნიშნა, რომ პოლიციის აკადემიაში შესაძლებელია ჩვენი პოლიციელების სტაჟირება. განსაკუთრებით საგულისხმოა გერმანელთა დაპირება, რომ მთლიანად დააფინანსებენ დემოკრატიის სკოლაში იმ ახალგაზრდების მომზადების პროცესს, ვინც საქართველოში დემოკრატიის გამარჯვება-დამკვიდრებისათვის იბრძოდა და იბრძვის. ცხადია, ეს გაკეთდება მას შემდეგ, რაც იქაური ექსპერტები წინასწარ გაეცნობიან ჩვენს პროგრამებს, პედაგოგებისა და მატერიალური ბაზის შესაძლებლობებს, თვით სწავლების პროცესში კი მათი პედაგოგებიც მიიღებენ მონაწილეობას. შევთანხმდით იმაშიც, რომ ჩავატარებთ ერთობლივ სემინარებს ისეთ საკითხებზე, როგორიც არის, კერძოდ, „დემოკრატიული არჩევნები“, „საბაზრო ეკონომიკა“ და სხვ.

ჩვენი საზღვარგარეთული კონტაქტები მარტო გერმანელებთან ურთიერთობებით არ შემოიფარგლება. საქმიანი კავშირები გვაქვს დამყარებული პოლანდიის, ავსტრიის, საფრანგეთის და სხვა (დაახლოებით ოცამდე სახელმწიფოს) ანალოგიურ ფონდებთან.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ებერტის ფონდი, რომელსაც ჩვენი ფონდის ანალოგიური მიზნები აქვს დასახული, თავისი საქმიანობისთვის წელიწადში 400 მილიონ მარკას ხარჯავს. დაფინანსების 95 პროცენტს კი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები კისრულობენ.

ჩვენს ისედაც ძალიან მოფამფალებულ ბიუჯეტს, ცხადია, ამჟამად არა აქვს ფონდისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარების გაწევის საშუალება. ამიტომაც ვთხოვთ საქართველოს სამინისტროებსა და უწყებებს, სახელმწიფო თუ კომერციულ სტრუქტურებს, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მატერიალურად დაგვეხმარონ ნოე ჟორდანიას ფონდის მიერ დასახული მიზნების ხორცშესხმაში.

ნოე ჟორდანიას ფონდის ანგარიშია:

001700997, საქართველოს ბინსოცბანკი.

ზურაბ ჭილაძე,
ნოე ჟორდანიას ფონდის პრეზიდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

მეგობრის გულისნადები

როგორც ვიუწყებოდით, 30 ივლისს საქართველოში თურქეთის სამთავრობო დელეგაციის ყოფნის დროს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებათა პაკეტს, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი, ცივილიზებული პრინციპების საფუძველზე საქართველოსა და თურქეთის თანამშრომლობის განვითარების საქმეში. 30 ივლისის ხელშეკრულებები უკვე შეფასებულია, როგორც ნიშანსვეტი ორი ქვეყნის ურთიერთობაში.

თურქეთის სამთავრობო დელეგაციაში მეჯლისის სამი ქართველი დეპუტატი იყო. ერთი მათგანი — მახან ექინჯი (ქურციკიძე) ქართულად გამოვიდა სიტყვით სახელმწიფო საბჭოში.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სულეიმან დემირელის შეფასებები, რომლებიც თურქეთში მცხოვრებ ქართველობას ეხება. „თურქეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის მოსახლეობა აშენებს იმ ხიდს, რომელმაც უნდა დააკავშიროს ჩვენი ქვეყნები. ეს ქართული წარმოშობის პიროვნებები, ჩვენი თანამემამულეები, სწორედ ის სანდო ხალხია, რომელსაც შეიძლება მივანდოთ ეს საქმე“. დიდი იმედის მომცემი სიტყვებია. ეს ქართულ-თურქული ურთიერთობისადმი ახლებური მიდგომაა, რაც მოწმობს, რომ უნდობლობის ყინული გალხვა, რომ ქართველობის დიდი იმედი აქვთ და ჩვენც ეს ხიდი დაუზიანებლად უნდა გამოვიყენოთ.

ჩვენ თბილი საუბარი გვქონდა ქართულ ენაზე მეჯლისის ქართველ დეპუტატებთან, მრავალი საინტერესო საკითხი განვიხილეთ, ორი ქვეყნის ურთიერთობის მომავალსაც შევეხეთ. ერთ-ერთმა დეპუტატმა რეფაიდინ შაჰინმა (ლორთქიფანიძემ) თურქეთის სპორტის ყოფილმა მინისტრმა, თავისი გულისნადები გაგვიზიარა. ჩვენც ვთხოვეთ მისი ნააზრევი წერილობით გადმოეცა. სტუმარი არ დაგვზარდა. გთავაზობთ მის წერილს „გამარჯობათ, ძმებო!“ ქართულ ენაზე.

ნოდარ კომახიძე,
პროფესორი.

გამარჯობათ, ძმებო!

დღეს უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში, ჩვენმა ოცნებამ ხორცი შეისხა, როგორც კი ფეხი დავდგი ქართულ მიწაზე თბილისის აეროპორტში, როგორც ყოველთვის, უწინარეს ყოვლისა, შემოგვეგება საქართველოს თბილი, გულწრფელი ატმოსფერო, შემდეგ კი ქართველმა ძმებმა გულში ჩაგვიკრეს.

როცა პატივცემული სულეიმან დემირელი და პატივცემული ედუარდ შევარდნაძე თვითმფრინავის კიბესთან ერთმანეთს გადაეხვივნენ, აშკარა გახდა, რომ საფუძველი ეყრება ჩვენს მეგობრობას, კეთილმეზობლობას და ძმობას. ორკესტრის მიერ შესრულებულმა საქართველოს ეროვნულმა ჰიმნმა და მამაცი ქართველი მეომრების საზეიმო ცერემონიალმა ყველანი აღგვაფრთოვანა.

მჯერა, რომ მომავალში ჩვენ შესანიშნავი დღეები გველის, რომ ერთობლივი ძალისხმევით ყველა სიძნელეს დავძლევთ და ბედნიერნი ვიქნებით. ჩვენ გულმოდგინებას და ძალღონეს არ დავიშურებთ იმისათვის, რომ უკეთ გავიცნოთ და გვიყვარდეს ერთმანეთი, ურთიერთს ჯეროვანი პატივი მივაგოთ და ერთმანეთის უფლებები დავიცვათ, არავინ რომ არ იფიქროს ჩვენზე ცუდი და არც ელოდოს, რომ ჩვენ რაიმე შეცდომას დავუშვებთ.

ახლა თურქეთში 2 მილიონზე მეტი ქართული წარმოშობის თურქი მოქალაქე ცხოვრობს, რომელთა თვალი და ყური თქვენსკენ არის მოპყრობილი. მთელი სულითა და გულით თქვენთან ვართ. ჩვენი მისწრაფება და დიდი სურვილია ვიყოთ ერთად ბედნიერნი, ვიცხოვროთ მშვიდობის, თავისუფლებისა და კეთილგანწყობის ატმოსფეროში. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, ყველაფერი ვიღონოთ, რაც კი რამ შეგვიძლია, თქვენდა სასიკეთოდ. ამჟამად თურქეთის პარლამენტში არის ქართული წარმოშობის 11 დეპუტატი. ბევრია ქართული წარმოშობის ბიზნესმენი და სახელმწიფო მოხელე. ყველანი მზად არიან მხარში ამოგიდგეთ. თქვენ კი გთხოვთ, კარგი დიალოგი დაამკვიდროთ, განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ ჩვენი კავშირ-ურთიერთობანი.

ჩვენ, თურქეთში მცხოვრებ ქართველებს, ერთად-ერთი თხოვნა გვაქვს თქვენთან — გადაწყვიტეთ თქვენს შორის არსებული პრობლემები! ჩვენ გვსურს მშვიდობის, სტაბილიზაციის, დემოკრატიის პირობებში არსებული საქართველო ვიხილოთ. გთხოვთ, ამიერიდან გადაეხვიოთ ერთმანეთს. თქვენი ძალა ერთმანეთის წინააღმდეგ კი არა, გარეშე მტრის წინააღმდეგ უნდა გამოიყენოთ.

ერთიანი იყავით და ჩვენც გამოგვიწოდეთ თქვენი ხელი, ჩვენ კი ჩვენს ხელს გამოგიწვდით და თქვენს ძალას ჩვენს ძალასაც შევმატებთ.

ჩვენს პარლამენტში უკვე შევქმენით თურქეთისა და საქართველოს პარლამენტთა მეგობრობის საზოგადოება. პირველივე შესაძლებლობისთანავე ურთიერთობის საკითხების განხილვისათვის გეწვევით.

თქვენი მეგობრებიც და მტრებიც დიდი ინტერესით მოელიან საქართველოს პარლამენტის არჩევნებს, რომელიც ამა წლის ოქტომბერში უნდა გაიმართოს. გაახარეთ თქვენი მეგობრები უნაკლოდ ორგანიზებული, სამართლიანი და პატიოსანი არჩევნებით. ჩვენი დიდი სურვილია, პირველივე შესაძლებლობისთანავე მივესალმოთ ახლად არჩეულ პარლამენტს და მთავრობას, ძმურად გადავეხვიოთ, გულში ჩავიკრათ პარლამენტის დეპუტატები.

სულითა და გულით გისურვებთ წარმატებას, გადმოგცემთ თურქეთში მცხოვრები თქვენი ძმების დიდ სალამსა და სიყვარულს.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე.

პატივისცემით
რეფაიდინ შაჰინი (ლორთქიფანიძე),
თურქეთის პარლამენტის დეპუტატი ორდუდან.

სარედაქციო ფოსტიდან

ბრიჯი:

ეს აზარტი და ანგარება კი არა, ინტელექტი და ლოგიკაა

საქართველოს სპორტული ბრიჯის ფედერაციაში მოვიდა მოლოცვა ბრიჯის ევროპული ლიგიდან — ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, სლოვენიისა და ხორვატიის ფედერაციებთან ერთად მიიღეს ამ საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის დროებით წევრებად.

— რა საერთო აქვს აზარტულ თამაშს სპორტთან? მასში ხომ ყველაფერი დამოკიდებულია შემთხვევაზე, იმაზე, თუ როგორ ბანქოს დაგირიგებენ. იქნებ, მალე სპორტს მიაკუთვნონ ბანქოს ისეთი თამაშებიც, როგორიც არის „ჯოკერი“, „21“ და სხვა, — შეიძლება აღშფოთდეს მკითხველი. მაგრამ, ეს, მთლად ასე არ არის. ბრიჯში, რომლის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები ყოველწლიურად, ოლიმპიადები კი — ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება, შემთხვევითობა მინიმუმამდეა დაყვანილი. ყველაფერი ეფუძნება ლოგიკას, ვარიანტების ზუსტ გამოთვლასა და ფანტაზიას. შემთხვევითი როდია ის, რომ ბრიჯი გახდა სერიოზული გატაცება ისეთი გამოჩენილი მოჭადრაკეებისათვის, როგორებიც არიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ემანუილ ლასკერი, ბორის სპასკი და ანატოლი კარპოვი, დიდოსტატები პაულ კერესი, ენტონი მაილსი, სიმონ ფურმანი, ირინე ლევიტინა. საზღვარგარეთ, განსაკუთრებით კი ინგლისურენოვან ქვეყნებში, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ინტელექტუალური თამაში, დასვენების საყვარელი სახეობა.

თბილისში რეგულარული შეჯიბრებები სპორტულ ბრიჯში 1979 წლიდან იმართება. საქართველოს წარმომადგენლები, ესენი კი, ძირითადად, თბილისელები არიან, წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა მასშტაბის ასპარეზობებში. მათ მოუპოვებიათ პრიზები პოლონეთში, ბულგარეთში, გერმანიაში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში, 1986 წელს ინჟინრები ათანასე შათირიშვილი და ლეონიდ ჩერტოკი სსრ კავშირის ჩემპიონებიც კი გახდნენ.

1989 წელს შეიქმნა საქართველოს სპორტული ბრიჯის ფედერაცია, რომელსაც გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ რედაქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი აპოლონ სილაგაძე მეთაურობს.

ახლა ჩვენი ფედერაცია გახდა ევროპის ლიგის წევრი, მაგრამ იმისათვის, რომ ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს, საჭიროა საწევრო შესატანი 1200 შვეიცარიული ფრანკის ოდენობით (დაახლოებით 900 ამერიკული დოლარი). მაგრამ ქართველ ბრიჯისტებს ეს თანხაც არა აქვთ. სწორედ ამ მიზეზის გამო მათ უკვე მოუწიათ უარი ეთქვათ მრავალ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაზე.

— ჩვენ ყოველთვის გვიჭირდა, კლუბის შენობაც კი არა გვაქვს, — თქვა საქართველოს სპორტული ბრიჯის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ვირსალაძემ. — მაგრამ, იქნებ გამოიძებნონ სპონსორები? დაე, ნურავის ნუ შეაშინებს ის, რომ ბრიჯი დაკავშირებულია ბანქოსთან. ეს, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, აზარტული კი არა, წმინდა სპორტული ინტელექტუალური თამაშია. ამავე დროს კი ბიზნესმენებისათვის უმნიშვნელო თანხის ვალუტისა და ჩვენთვის შენობის გამოყოფას შეუძლია სახელი გაუთქვას საქართველოს კიდევ ერთ სფეროში საერთაშორისო ასპარეზზე.

ასოციაციაში გაწევრიანების მსურველებს შეუძლიათ დარეკონ ტელეფონით 37-37-08, და კიდევ, ისინი სპონსორებსაც ელიან.

კეთილი გულით მოძღვნილი...

თბილისში ზაარის მხარიდან ჩამოვიდა ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული ორი დიდტვირთიანი ტრალერი. მათ ჩამოიტანეს ბავშვის საზრდო და სათამაშოები, ტანსაცმელი და სამედიცინო მოწყობილობა. ყოველივე ეს, უწინარეს ყოვლისა, განკუთვნილია კოჯრისა და წყნეთის ბავშვთა სახლების, ბავშვთა საავადმყოფოებისათვის.

სურათზე: გერმანიიდან ჩამოსულმა ტრალერებმა თბილისში ჩამოიტანეს მუშა სამარიტელთა კავშირის მიერ გამოგზავნილი ჰუმანიტარული დახმარება.

ვანო შამანაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ტკივილი სულში დარჩება

ზუგდიდის ერთ-ერთ ქუჩაში, სადაც ამ დღეებში ვიყავი, ჩემი ყურადღება მიიპყრო ადამიანთა ჯგუფმა, რომელთაგან უმრავლესობა შავით იყო მოსილი. ზოგი მათგანი ყვავილებს აწყობდა უზარმაზარ ვიტრინებთან, სადაც გამოფენილია ზუგდიდსა და სხვა რაიონებში ტრაგიკული ძმათამკვლელი ომის დროს დაღუპულ ყმაწვილთა ფოტოსურათები. აქვე იყო 1989 წლის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპულთა ფოტოსურათებიც. ვიტრინის ცენტრში მერაბ კოსტავას უზარმაზარი პორტრეტი გამოეფინათ. ბევრს ხელში სანთლები ეჭირა, რომლებსაც ვიტრინაზე ამაგრებდნენ. ყოველივე ეს ერთგვარად თბილისის გლოვით სავსე დღეებს მოგვაგონებდა. სამწუხარო და გულსატკენი სანახაობა იყო ოდესღაც მხიარული, ხმაურიანი და ენაწყლიანი ზუგდიდელების მწუხარე სახეები.

აქ გავიცანი სიმპათიური ახალგაზრდა ზუგდიდელები ნუგზარ ქვანია და ნათელა გედია. ორი კვირის წინათ შექმნილი საზოგადოება „ხსოვნის" წევრები გამოდგნენ. აი, რა მითხრეს მათ.

საზოგადოება „ხსოვნის" შექმნის იდეა ზუგდიდში ივლისის სავალალო მოვლენების დამთავრებისთანავე იშვა. დროებით ჩვენი საზოგადოება ზუგდიდის ცენტრშია, აღმაშენებლის ქუჩაზე, № 20 სახლში, ადგილობრივი სამხატვრო გალერეის შენობაში. საზოგადოება „ხსოვნის" თავმჯდომარედ არჩეულია მკვიდრი ზუგდიდელი, ინჟინერი ელგუჯა ბირულავა.

— ჩვენი მთავარი მიზანია, — მითხრეს შემდეგ ნუგზარ ქვანიამ და ნათელა გედიამ, — შევკრიბოთ ცნობები წელს ძმათამკვლელ ომში დაღუპული ჩვენი თანაქალაქელების შესახებ. ჩვენი მონაცემებით, 183 კაცი უნდა იყოს, მათგან ორი — ქალი. საზოგადოებაში ჯერჯერობით 23 კაცია გაერთიანებული. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ საზოგადოების წევრები გახდებიან არა მარტო ყველა ზუგდიდელი, არამედ რესპუბლიკის ბევრი მცხოვრებიც. გვექნება საწევრო ბილეთები, დავაწესებთ საწევრო შენატანებს, გავხსნით სპეციალურ ანგარიშს ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში. როცა გარკვეულ თანხას შევაგროვებთ, დახმარებებს მივცემთ დაღუპულთა ოჯახებს, ვაპირებთ გამოვუშვათ ხსოვნის წიგნი.

4 აგვისტოს ზუგდიდის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი სამგლოვიარო მიტინგი.

წინ არის ეროვნული შერიგების, ეროვნული მონანიების ძნელი დაწყების დღე და ეს ნაბიჯი ერთად უნდა გადავდგათ. ამას ითხოვს ჩვენგან დაღუპულ ახალგაზრდათა ხსოვნა, რომელთაგან თითოეული იბრძოდა საკუთარი თავისუფალი საქართველოსათვის. მაგრამ იგი თავისუფალი საქართველო — ერთია ყველა ქართველისთვის.

ლევან დოლიძე.

სხვა გაზეთებიდან. „ეპოქა" № 11

სექს-ბიზნესი

„მამაშა"

- ◎ ფასები ქალებზე ნახევრადლეგალურ საროსკიპოებში.
- ◎ თბილისში არსებობს რამდენიმე მცირე ბორდელი.
- ◎ დემოკრატიის ნეგატიური ასპექტი.
- ◎ ინტერვიუ ერთ-ერთი ბუნაგის გამგებელთან.

კაცობრიობის სიჭარმაგე ბევრი უცნაურობით გამოირჩევა. თავისუფალი პიროვნება დემოკრატიულ ქვეყნებში ზოგჯერ ზნეობრივი ნორმებისგანაცაა თავისუფალი. „და ღმერთი მოკვდა!" — თქვა ერთმა მოაზროვნემ, სხვები ცხოვრების საზრისზე — ეგზისტასზე ჩაფიქრდნენ და პესიმიზმს მისცეს თავი. უღმერთოდ დარჩენილმა ადამიანმა უკიდეგანო სიამეთა ძიებას მოჰკიდა ხელი. საზოგადოება სულიერმა კრიზისმა მოიცვა. ის პრობლემები, რომლებიც აწუხებს ევროპას ჩვენთვის გუშინ თითქოს უცხო იყო, თუმცა, იქაური „ჭირი" აქაც ყოველთვის არსებობდა, ოღონდ დაფარულად. თავისუფლებამ და დემოკრატიამ ჩრდილის გმირები და მოვლენები თანდათან არენაზე გამოიყვანა, ისინი ნელ-ნელა მზის სინათლეზე გამოდიან და ყველასათვის თვალნათელს ხდიან — უნდა დავფიქრდეთ ყველაფერზე, რაც ხდება ჩვენს ირგვლივ.

მაგრამ რომ დავფიქრდეთ რომელიმე კონკრეტულ უბედურებაზე — ნარკომანია იქნება ის თუ პროსტიტუცია, უნდა ვიცოდეთ მისი მასშტაბები ჩვენს სინამდვილეში, სოციალური საფუძვლები, ადამიანები, რომელთაც ესა თუ ის ბოროტება მოიცავს. არ არის საჭირო მათი „გამოჭენება" ტელევიზიით, ქოქოლა და შეჩვენება, უნდა ვიცოდეთ ვინაა მეძავი, რა უბიძგებს ადამიანს აქეთ, რით ვუშველოთ მასაც და საზოგადო ჭირსაც.

ამიტომ ვთხოვე რედაქტორს ნებართვა ერთ-ერთ ასეთ „ბუნაგს" ვწვეოდი და მის პატრონთან მესაუბრა. ვიცოდი ჩემი მეგობრისგან მისი არსებობა, მან მომცა მისამართი და „ჩამიწყო" საქმე „მამაშასთან", რომ მიმიღებდა და ინტერვიუს მომცემდა. მეც შევუყევი ერთ-ერთი უბნის შეალმართებას.

ზღურბლთან 45-50 წლის ყვითლადშეღებილთმიანი რეტუშირებულ წარბებიანი ქალბატონი დგას და ორაზროვნად მიღიმის.

— ააა, დათოსგან, არა? კი, ბატონო, მობრძანდით. ჩვენ ისეთ საქმეს მივდევთ, თავს ვარიდებთ თქვენი სპეციალობის ხალხს, მაგრამ... დათომ ძალიან მთხოვა.

ოთახში ტახტი და ორი სავარძელი დგას. ვიტრინაში შამპანურის ცარიელი ბოთლი და ორი გაურეცხავი ჭიქა, კედელზე ზეთით შესრულებული გაურკვეველი სიუჟეტის დიდი სურათია, შეშავებული ჭერიდან ნაღვლიანად იყურება ეული ნათურა ჩამომხრჩვალი ბატის ჭუკივით. დროდადრო ოთახში „პეპლები" იჭყიტებიან და კედლის იქით „კლიენტის" მოლოდინში შიგადაშიგ ტკარცალებენ.

მე „მამაშას" ვესაუბრები (პასუხები მომაქვს პირდაპირ, ყოველგვარი სტილისტური შელამაზების გარეშე).

ამასაც მოვესწარით!

— რამდენი წლის ბრძანდებით თუ საიდუმლო არ არის, შვილები გყავთ?

— ვარ 52 წლის, მყავს ორი შვილი, ორივე დაოჯახებული (ბიჭი — უმაღლესი განათლებით, გოგო — ტექნიკურით). ქმარი 1983 წელს გარდამეცვალა. წარმოშობით... რაიონიდან ვარ.

— შვილებმა იციან თქვენი საქმიანობის შესახებ?

— შვილებმა ჩვენი საქმიანობის შესახებ ყველაფერი იციან. გოგო წინათ მიშლიდა, ახლა არაფერს მეუბნება, ალბათ შეეჩვია ან ფული აჩუმებს ორივეს, მათ ოჯახებს ხომ მე ვარჩენ, ვცხოვრობთ საკმაოდ შეძლებულად, არაფერს ვიკლებთ, ყოველთვის და ყოველგვარ სურვილს ვიკმაყოფილებთ.

— ნუთუ ესაა ადამიანის ცხოვრებაში მთავარი, ღმერთი არ გწამთ?

— მწამს.

— ცოდვების არ გეშინიათ?

— ცოდვის? მე მგონი, ის, რასაც ვაკეთებ, ცოდვა არ არის. ის, ვინც ჩემთან მოდის და თავს ჰყიდის, სხვასთანაც წავა და სხვასთანაც გაიყიდება. განა ჩემი საქციელი გამართლებული არ არის, რომ აქ ჩემთან ისინი ქართველებს ემსახურებიან. აბა, ისინი არიან გამართლებულნი — ვითომ პატიოსნები, თურქეთში რომ მიდიან და იქ არცხვენენ ქართველი ქალის სახელს.

— თქვენი ქალები საფასურს რამდენს იღებენ?

— ქალს გააჩნია. იმდენს, რამდენსაც უმაღლესი განათლების მქონე ქალი თვეში — ორას, სამას, შვიდას, ათას მანეთს ერთი კონტაქტის შემდეგ.

— რამდენი წლისანი არიან?

— თექვსმეტიდან ორმოცდახუთ წლამდე.

— მათი საქმიანობის შესახებ მათმა ახლობლებმა თუ იციან?

— როგორ არა. თუმცა ზოგიერთები მალულად მუშაობენ.

— სადაურები არიან?

— ძირითადად თბილისელები, არიან რაიონებიდანაც. ბევრი შეძლებული ოჯახიდანაა. ერთ-ერთის მამა მინისტრის მოადგილე იყო და ახლაც მაღალი თანამდებობის პირია.

— რამ აიძულა ისინი ამ გზას დადგომოდნენ?

— არა გაჭირვებამ. უბრალოდ, ბევრ ფულს დახარბდნენ. ზოგი თავიდან მხოლოდ სიამოვნების გულისათვის მოდიოდა, მერე თანდათან საქმიანობად გაიხადა.

— თქვენი კლიენტები ვინ არიან?

— ჩვენთან ძირითადად ნაცნობები მოდიან, ან მათ მოჰყავთ ვიღაცეები. ყველამ იცის, ვინ მოიყვანოს, ამიტომ ყოველგვარი ავადმყოფობა გამორიცხულია, თუმცა მაგის მაინც ძალიან მეშინია.

— მილიციის არ გეშინიათ?

— ჩვენი მილიციის? არასოდეს მეშინოდა, ახლა მით უმეტეს. ქრთამი ხომ იცი, ჯოჯოხეთს რომ ანათებს. აი, გვარდიის კი მეშინია, მაგრამ ისინიც კაცები არიან, ხო იცი, ქურდები კიდე ჩემი ძმაკაცები.

— ჩვენ, მე მგონი, დავიღალეთ და შევისვენოთ. მანამდის შემიძლია სუფრასთან მიგიპატიჟოთ. თუმცა, ვიცი, თქვენც, როგორც ყველა ახალგაზრდა მამაკაცი, ქალს აირჩევთ... წაყევი „მაყვალას" და აირჩიე.

— არა, გმადლობთ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში ვარ.

— არა, გინდათ, მაგრამ თავს მაჩვენებთ, ვითომ თქვენ ძალიან პატიოსანი ხართ. ჯერ ერთი, ეს სიამოვნება ყველას უნდა, ყველას — დიდსაც და პატარასაც. მაგრამ ჟურნალისტები მილიციასავით ხართ. როცა იყიდი, როგორც გინდა ისეთნაირად დაგიწერენ, თუ არა და ვაი, ჩვენ.

— თქვენი შემოსავალი როგორია?

— დიდი შემოსავალი მაქვს. ხანდახან დიდ პრიზებსაც ვიღებ. ერთ გოგოს ერთი შეძლებული ოჯახიშვილი 3 წელი დასდევდა. აქ რომ ნახა, თავი მაინც არ დაანება და ევედრებოდა გაყოლოდა. გოგო უარზე იდგა. მერე მე დავითანხმე 25 ათას მანეთად... ეს სამი წლის წინ იყო.

— ოჯახები თუ აქვთ თქვენს „მშრომელებს"?

— არ გინდათ ირონია. თქვენ კაი, გაგებული ბიჭი ჩანხართ. ისინი უმრავლესობა გასათხოვარია. არიან ოჯახის ქალებიც. ისინი ჩემთან დღისით მუშაობენ.

— ბედნიერი ხართ?

...ერთადერთ კითხვაზე შეიჭმუხნა და ჩაფიქრდა. ათიოდე წამის შემდეგ გონს მოეგო.

— კი, აბა, რა! ფული მაქვს, სახლი მაქვს, საჭმელი და სასმელი. პატივს მცემენ, ჰოდა ბედნიერი ვარ...

— „ბორდელები" უნდა გაიხსნას ჩვენში?

— აბა რა! ყველგან არი. სადაც აკრძალულია. იმ ქვეყნებშიც არი, ოღონდ არალეგალურად, თუმცა მათ არ ებრძვიან. სადღაც ამოვიკითხე — ჩვენზე — „უძველესი პროფესიაა"-ო. ჰოდა, ხვდებით რატომაა უძველესი პროფესია? იმიტომ, რომ ყველას ყოველთვის სჭირდებოდა და დასჭირდება. იცოდეთ ეს თქვენ და თუ რამეს დაგიბეჭდავენ ჭკუის სწავლებას ნუ დაგვიწყებთ, რა.

თავქვე დავეშვი.

რა გვეშველება?

გვჭირს კი რამე, კაცმა რომ თქვას, უსაშველო?

ჰო, მაგრამ ამდენ „ძე-შეცთომილს" რა ელის?

გოდერძი საბაძე.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

პრემიერა სეზონის დასასრულს

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივისათვის წლევანდელი სეზონი მართლაც მძიმე იყო. ენერგეტიკული კრიზისის გამო თითქმის მთელი ზამთარი არანორმალურად მუშაობდა თეატრი.

გაზაფხულზე ცოტა ამოისუნთქეს, შეძლებისდაგვარად მუშაობაც განაახლეს და სპექტაკლების ჩვენებაც.

ახლახან აქ მაყურებელს უჩვენეს რობერტ ტომას სატირული კომედია „რვა მოსიყვარულე ქალი".

მაყურებლებმა კვლავ იხილეს საყვარელი მსახიობები — საქართველოს დამსახურებული არტისტები — ნაზი არავიაშვილი და ოლღა შუბითიძე, მსახიობები: ეთერ ბაბილაშვილი, მაია ბიჩელაშვილი, ნინო კურტანიძე, ელდინო ტუხაშვილი, იზა შუშანაშვილი, ნინო ხელხელაური და სხვები.

სპექტაკლი დადგა თეატრის რეჟისორმა მალხაზ ასლამაზიშვილმა, მხატვრობა თამაზ როსტომაშვილს ეკუთვნის, ხოლო მუსიკალური გაფორმება — ნინო გაგნიძეს.

ზურაბ არსენიშვილი.

გაიხსნა საადგილმამულო ბანკი

ახლახან გაიხსნა საქართველოს საადგილმამულო ბანკის — „აღმშენებლის" ზესტაფონის რეგიონალური განყოფილება.

მისი დაარსების ინიციატორებმა — კოოპერატივებმა № 17 „შრომამ" და „სინატიფემ" ასეთი ეროვნული საქმისათვის 10 მილიონი მანეთი გაიღეს.

საადგილმამულო ბანკი მიწის რეფორმის განხორციელებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში ქმედით დახმარებას გაუწევს როგორც ზესტაფონს, ისე ახლომახლო მდებარე რაიონების მოსახლეობას.

ოქონაში ვენახს წამლობენ

ყორნისის მიმართულებით გზად რამდენიმე ისეთი სოფელი გავიარე, ეს სამი წელია ზედიზედ ორი დღე მშვიდობიანი რომ არ უნახავს. დამწვარ-დანგრეული სახლები, გავერანებული ეზო-მიდამო, შიში და სასოწარკვეთილება.

აი, სოფელი კნოლევი, ყორნისის გზაზე ბოლო დასახლებული პუნქტი, რომლის მოსახლეობამაც მთელი ამ ხნის მანძილზე ჭეშმარიტი ვაჟკაცობა და შემართება გამოიჩინა, გახურებული ომის დროსაც კი სოფლიდან ფეხი არ მოუცვლია. გუშინ კი მთელი კნოლევი გზაზე გამოეფინა, რომ ზემოთა სოფლებს, ქართველ ლტოლვილებს, ოქონელებს შეხვედროდნენ, რომლებიც ბარგიბარხანით, საზიდრებითა თუ ურიკებით თავიანთ კერას უბრუნდებოდნენ.

ამ სოფლიდან ყორნისამდე სამიოდე კილომეტრია, ამიტომ გასაგებია, როგორი სიფრთხილის ზომებიც განახორციელა სამშვიდობო შერეული ძალების ბატალიონმა, რომელიც ამ დღეებში ოქონაში დაბანაკდა.

— გთხოვთ, ჩემი განცხადება სიტყვასიტყვით ჩაიწეროთ, — მომმართა ოქონაში ლურჯსამკლაურიანმა მეთვალყურემ, კაპიტანმა ალექსანდრე ვოლოსმა, — ქართული სოფლების მოსახლეობა არავითარ პრობლემებს არ გვიქმნის, რაც მას აშკარად განასხვავებს ოსური სოფლების ლტოლვილებისაგან.

...ხალხი ეზოებში შევიდა და დიდხანს თვალს ვერ წყვეტდა თავის კარ-მიდამოს.

— ვიცოდი, რომ ბანდიტებმა სახლი დამიწვეს, მაგრამ თუ ასე გამიმეტებდნენ, არ მეგონა, — შემომჩივლა შოთა ხიმშიაშვილმა.

მისი მეზობელი, ოთარ ხიმშიაშვილი კი „ბოევიკების" საბრძოლო რაკეტით სახურავახდილ თავის სახლს მისჩერებოდა.

გაძარცული და გადაბუგულია ოქონა, მაგრამ აქაურები მაინც იმედიანად არიან.

— მთავარია, რომ მშვიდობა დაგვიდგა, — თქვა ვანო მეფარიძემ, — ცხოვრებას თავიდან ვიწყებთ, უსაშველო არაფერია, დაგვეხმარებიან, გვერდში ამოგვიდგებიან.

დახმარება და თანადგომა კი დიახაც იციან ქარელელებმა.

გუშინაც მთელი დღე ოქონაში დაალამეს ქარელის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ ტარიელ ბარბაქაძემ, მისმა მოადგილემ უშანგი მეყანწიშვილმა, რაიონული სამსახურების თავკაცებმა.

გამგეობის თავმჯდომარე შეპირდა მოსახლეობას, რომ უახლოეს დღეებში მოამარაგებენ ფქვილით, პურით, პირველი მოთხოვნილების საქონლით, ამუშავდება ტრანსპორტი.

ბატონი ტარიელი სიტყვის კაცია და ეს იციან ოქონელებმა.

შუადღისას გამოვბრუნდით უკან. ზურგზე მოკიდებული საწამლი აპარატით კაცი გზის პირას ხეივანს წამლავდა.

ვინ არის მეთქი, ვიკითხე.

— აქაურია, იასონ ბუზალაძე, —მიპასუხა მძღოლმა.

გურამ ვაშაკიძე.

განგაშის ზარი

ცოფი—ჩვენი მტერი!

საგანგაშო სიგნალები მოდის რედაქციაში — მკითხველები გვწერენ, გვირეკავენ — ყველა უბედურებასთან ერთად, მაწანწალა ძაღლები მომრავლდა, მოქალაქეთა დაკბენის შემთხვევებიც არის და ცოფის გავრცელება სულ ადვილი შესაძლებელიაო.

ჩვენდა საუბედუროდ, წელს რესპუბლიკაში უკვე ყოფილა ცოფის შემთხვევები. ამიტომ გაფრთხილებად ისმის ქალბატონ ნანა გოქსაძის — საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს რესპუბლიკური სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის განსაკუთრებულ საშიშ ინფექციათა განყოფილების გამგის საუბარი ჩვენს კორესპონდენტთან.

ქალბატონი ნანა გვაფრთხილებს, როგორ მოვერიდოთ, ხოლო უბედურების შემთხვევაში, როგორ ვუმკურნალოთ ცოფს, ამ მეტად საშიშ სენს.

— უკანასკნელ ხანს ჩვენს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით კი თბილისში, კატასტროფულად მომრავლდნენ უპატრონო ძაღლები. უფრო მეტად მათ ვხვდებით მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, საავადმყოფოებსა და კვების ობიექტების მიმდებარე ტერიტორიებზე, მოსახლეობის მასობრივი თავშეყრის ადგილებში; ეტყობა ამის მიზეზია, რომ სამედიცინო დაწესებულებებში დაკბენა-დაკაწვრა-დადორბვლის გამო უკვე ბევრი მოქალაქე მოდის. ერთი სიტყვით, არსებობს ცოფის ამ საშიში სენის რეალური საფრთხე. ასეთ დროს, ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე საშიშია ძაღლი. შინაურ ცხოველებს შორის, ცოფის ვირუსის ძირითადი მატარებელი სწორედ ძაღლები არიან.

ცოფით დაავადებული ძაღლი უმიზეზოდ იბნიდება, იცვლის ზნეს, ადვილად ღიზიანდება, ან პირიქით, ვერ სვამს წყალს (შიშის გამო), დაავადების ბოლო პერიოდში გამოყოფს დიდი რაოდენობით დორბლს, რომელიც შეიცავს ცოფის ვირუსს, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველი შესაძლოა გაიქცეს, დაიკარგოს, ამიტომ უმეთვალყურეოდ არ უნდა დავტოვოთ... დაკბენილ ადამიანს 9 დღიდან 1 წლის ფარგლებში შესაძლოა შეეყაროს ცოფი. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ იგი განწირულია, რადგან ცოფი უკურნებელი სენია.

ყოველმა მოქალაქემ უნდა იცოდეს: ნაკბენი ადგილი მაშინვე უნდა ჩამოირეცხოს საპნიანი წყლით (სპირტით გაწმენდა დაუშვებელია). ავადმყოფი ძაღლი არ უნდა მოიკლას (მასზე 10-დღიანი ვეტერინარული ზედამხედველობაა საჭირო) და სამედიცინო დახმარებისათვის მიმართოს ექიმს, მკაცრად დაიცვას მისი მითითება და დანიშნული ანტირაბიული (ცოფის საწინააღმდეგო) აცრები გაიკეთოს. ცოფიანი, საეჭვო, ან უცნობი ცხოველის მიერ დაკბენის შემთხვევაში ეს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთი გარანტიაა.

1990-1991 წლებში ჩვენს რესპუბლიკაში ცოფით დაავადდა 42 ძაღლი და სხვა შინაური ცხოველი. 1990 წელს რესპუბლიკაში დაკბენა-დაკაწვრა-დადორბვლის გამო სამედიცინო დაწესებულებებს მიმართა 15107 კაცმა. მათ შორის თბილისში — 2684-მა, 1991 წელს — გაცილებით მეტმა.

1991 წელს ცოფით დაავადდა და გარდაიცვალა 1 კაცი (ზესტაფონის რაიონი), მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში აღრიცხულია ცხოველების ცოფით დაავადების 11 და ადამიანების ცოფით გარდაცვალების 2 (გალში და წალენჯიხის რაიონის ს. ჯვარში) შემთხვევა.

ძნელია მოიძებნოს რომელიმე სხვა ინფექცია, გარდა ცოფისა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ამდენად იყოს დამოკიდებული სხვადასხვა სამსახურის ერთობლივ მიზანმიმართულ საქმიანობაზე. ცხოველებში ცოფის წინააღმდეგ ბრძოლა მარტო ვეტერინარული სამსახურის საზრუნავი როდია, იგი მილიციის, კომუნალური განყოფილებების, კინოლოგიური კავშირის, სატყეოს, ნაკრძალების მუშაკების საქმეცაა.

ცხოველებში ცოფის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მათი ზუსტი აღრიცხვა და ცოფის საწინააღმდეგო აცრების ჩატარება, უპატრონო, მოხეტიალე ძაღლებისა და კატების ლიკვიდაცია, ასევე მოსახლეობის მიერ ძაღლებისა და კატების შენახვის წესების შესრულება, ამიტომ ძაღლის პატრონი ვალდებულია ცხოველი რეგისტრაციაში გაატაროს, ცოფის საწინააღმდეგოდ აცრას, მეთვალყურეობის ქვეშ იყოლიოს საკუთარი ძაღლი, თორემ მის მიმართ ადმინისტრაციული ღონისძიებანი განხორციელდება მკვეთრად გადიდებული ჯარიმის სახით.

სიხარული და სინანული ძმები არიან

Barcelona'92



უკან დარჩა ყველაზე მძიმე, დრამატიზმით აღსავსე ორთაბრძოლა, როგორც იქნა ამოიწურა უსაშველოდ გაჭიანურებული ხუთი წუთი, დაღლილ-დაქანცულ სპორტსმენებს მსაჯმა საჭიდაო ხალიჩის ცენტრში უხმო. ლერი ხაბელოვი სიხარულს ვერ მალავს. ოლიმპიური მწვერვალი დაპყრობილია — ყველაზე მაღალი და თითქოს მიუწვდომელი მწვერვალი.

მე არ შევუდგები ლერი ხაბელოვისა და გერმანელი ჰეიკო ბალცის ფინალური შეხვედრის დეტალებზე საუბარს. ერთს კი ვიტყვი: ეს გახლდათ ღირსეულ მეტოქეთა შერკინება, რომლის ბედი, რომ იტყვიან, ბოლო წამებამდე გაურკვეველი იყო. ხაბელოვს გაუჭირდა, მაგრამ მაინც მიაღწია საწადელს. პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა პირველი კითხვა სწორედ ფინალურ შეხვედრასთან დაკავშირებით დაუსვეს ოლიმპიურ ჩემპიონს.

— ოთხი წლის წინათ სეულში ერთადერთი ნაბიჯი დამრჩა გადაუდგმელი, — თქვა ლერიმ, — მაშინ ფინალურ შეხვედრაში საბედისწეროდ შევცდი და ჩემპიონობა დავკარგე. დღეს არ მქონდა შეცდომის გამეორების უფლება. ამიტომაც ვფრთხილობდი და რისკს ვერიდებოდი. სანახაობრივი თვალსაზრისით, შეიძლება ჩვენი შერკინება ეფექტური ვერ გამოდგა, მაგრამ ამჯერად ჩემთვის მთავარი იყო გამარჯვება.

შემდეგ პრესკონფერენციამ სხვა სიბრტყეში გადაინაცვლა. ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რატომ გამოდის ლერი ხაბელოვი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, მაშინ, როდესაც 68 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებული არსენ ფაძაევი რუსეთის ღირსებას იცავს.

— ფაძაევი ვლადიკავკაზელია, მე კი, მართალია, ოსი ვარ, მაგრამ თბილისში დავიბადე და ამიტომაც ვარ საქართველოს წარმომადგენელი. ახლა ჩვენში პოლიტიკური სიტუაცია დაძაბულია. ქართველებსა და ოსებს შორის შუღლი ჩამოვარდა, თუმცა ბოლო დროს ყველაფერს ისეთი პირი უჩანს, რომ, ეტყობა, კონფლიქტი მალე ჩაცხრება. ბედნიერი ვიქნები, თუ ამას ჩემი დღევანდელი გამარჯვებაც შეუწყობს ხელს.

ბოლოს ლერიმ სამომავლო გეგმებზე ილაპარაკა. თქვა, რომ ოთხი წელი აპირებს ჭიდაობას და ბოლომდე დაიცავს საქართველოს სპორტულ ღირსებას.

5 აგვისტოს კიდევ ორ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ ჩემპიონები. სხვები კი განაგრძობენ წინასწარ შეხვედრებს. სამწუხაროდ, მესამე წრეში დავით გობეჯიშვილმა ვერაფერი გააწყო თავის მუდმივ მეტოქესთან, ამერიკელ ბრიუს ბაუმგარტნერთან და ქულებით დამარცხდა — 0:3. უფრო დასანანი ის არის, რომ ეს სამი ქულა ბაუმგარტნერმა ბოლო წამებზე აიღო. ამის შემდეგ დავით გობეჯიშვილი კიდევ ერთხელ გამოვიდა ხალიჩაზე, ამჯერად შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონს, გერმანელ ანდრეას შრიოდერს შეხვდა და გაიმარჯვა 4:3. ბაუმგარტნერ-შრიოდერის შეხვედრაში კი ამერიკელს აშკარა უპირატესობა ჰქონდა. ქვეჯგუფში საბოლოოდ პირველი ადგილი ბაუმგარტნერმა დაიკავა და იგი ფინალში იჭიდავებს. რაც შეეხება გობეჯიშვილს, მას ბრინჯაოს მედლისათვის მოუწევს ბრძოლა. ბაუმგარტნერ-გობეჯიშვილის ორთაბრძოლა რომ დამთავრდა, ცნობილ მწვრთნელს დიმიტრი მინდიაშვილს ვესაუბრეთ: „რა თქმა უნდა, ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ამ შერკინებაზე იყო დამოკიდებული, თუ ვინ გაიმარჯვებდა ქვეჯგუფში. მე დათოს ერთი დავალება მივეცი. პირველი წამებიდანვე იაქტიურე, რომ ჩოქბჯენში პირველი მეტოქე ჩააყენონ-მეთქი. სამწუხაროდ, გობეჯიშვილმა ეს ვერ შეძლო და ინიციატივა ამერიკელმა იგდო ხელთ, თუმცა საქმე ისე მიდიოდა, რომ ორივე მოჭიდავე უნდა მოეხსნათ. ის, რაც ორთაბრძოლის მიწურულს მოხდა, ჩემთვის მოულოდნელი იყო. ასეთი მაღალი კლასის სპორტსმენს ამგვარი შეცდომის უფლება არა აქვს. აშკარაა, რომ ოლიმპიადისთვის ბაუმგარტნერი უკეთ მომზადებულია, ვიდრე გობეჯიშვილი, რომელსაც წელიწადზე მეტია არსად უჭიდავია და ამან, ცხადია, შედეგზეც იმოქმედა".

ელგუჯა ბერიშვილი,
„საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური კორესპონდენტი „კავკასიის კონცერნის" მივლინებით.



წერილი რედაქციას

ნება მომეცით, თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც მომილოცა თბილისის უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოს — **ივანე ჯავახიშვილის პრემიის** — მინიჭება. პრემიით გათვალისწინებული თანხა მინდა გადავრიცხო „საქართველოს აღორძინებისა და დემოკრატიზაციის ფონდში", რომელიც ხელს უწყობს ქართველი ახალგაზრდობის სასწავლებლად უცხოეთში გამგზავრებას.

თამაზ გამყრელიძე.

თბილისის ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1992-93 სასწავლო წელს შემდეგ სპეციალობებზე:

1. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა.
2. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და მეთოდიკა.

ინსტიტუტში, იმ სასწავლო დისციპლინების გარდა, რომელიც აუცილებელია მაღალკვალიფიციური პედაგოგის მოსამზადებლად, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა უცხო ენების გაღრმავებულ სწავლას (სტუდენტთა არჩევანის მიხედვით), მედიცინას (პედიატრია, თერაპია, ჰიგიენა, კოსმეტოლოგია და სხვ.), ხელსაქმეს (ქსოვა, ქარგვა, ჭრა-კერვა). ინსტიტუტი განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს სტუდენტთა ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას (ისწავლება ხელოვნებათმცოდნეობის დისციპლინები, მუსიკა, ფერწერა, აგრეთვე აერობიკა, ცურვა, აღმოსავლური სპორტის სახეობები, ავტომანქანის მართვა).

ინსტიტუტის კურსდამთავრებული იქნება XXI საუკუნის ქალი — არა მარტო ვიწრო სპეციალისტი პედაგოგი, არამედ ფართო მასშტაბის ხელმძღვანელი მუშაკი. ამ მიზნით ინსტიტუტის სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია სათანადო დისციპლინების სწავლება.

ინსტიტუტში ასწავლიან ცნობილი პროფესორ-მასწავლებლები. სწავლის ვადა ოთხი წელია.

სწავლის ქირა წელიწადში 7500 მანეთია (გასაუბრების ხარჯები 200 მანეთი).

საბუთები მიიღება 7 აგვისტოდან შემდეგ მისამართზე: მ. კოსტავას ქ. № 5 (მეტრო რუსთაველის პირდაპირ). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი (11 სთ-დან 17 საათამდე) ცნობებისათვის დარეკეთ: 98-81-49, 99-68-84.

იჩქარეთ, კონტინგენტი შეზღუდულია!

იჩქარეთ, გამოიწერეთ!

მკითხველი და გაზეთი! — ორივე ერთმანეთისთვის და ერთმანეთით ვარსებობდით ყოველთვის.

გექნებათ გამოწერილი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"? — იქნებით ობიექტური, სრული, ოპერატიული ინფორმაციის მფლობელი, ზუსტად გეცოდინებათ, რა ხდება დღევანდელ საქართველოში, მსოფლიოში, კომპეტენტური ანალიტიკოსები გაგარკვევენ თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებში.

ერთადერთი ყოველდღიური
გაზეთი
საქართველოს რესპუბლიკა
ყველაზე იაფი გამოცემაა

წლის ბოლომდე ხელმოწერის ფასი 88 მანეთია. ხელმომწერეებს გაზეთის ეგზემპლარი მანეთი დაუჯდებათ, ჯიხურებში კი 2 მანეთად გაიყიდება.

ჩვენი ინდექსია 60484.

იქნება მკითხველი? — იქნება გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურმა სიძნელეებმა გააძვირა ცხოვრება, კატასტროფულად გაზარდა სასტამბო-საგამომცემლო ხარჯები.

ეს არის მიზეზი, რომ შარშან ოცკაპიკობაზე გამოწერილ გაზეთს, რომელიც დღეს 2 მანეთი ღირს, 1 სექტემბრიდან, სამწუხაროდ, ვეღარ მიიღებთ, თუ ახალ ხელმოწერას არ გააფორმებთ 20 აგვისტომდე.

მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში, ბოჭორიშვილის ქ. № 50.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

XI